ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

30 ოქტომბერი, 2019 | ოთხშაბათი, №10 (2236)

354 უნივერსიტეტს შორის თსუ 86-ე ადგილზეა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების კიდევ ერთ რანჟირებაში QS Emerging Europe and Central Asia Rankings დაწინაურდა. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 354 უნივერსიტეტს შორის თსუ 86-ე ადგილზეა. რანჟირება აფასებს როგორც აკადემიურ რეპუტაციას, ასევე ციტირების მაჩვენებელს, კვლევით პროდუქტიულობას, საერთაშორისო განზომილებებს (უცხოელ სტუდენტთა და პერსონალის რაოდენობა, საერთაშორისო კვლევითი ქსელის წევრობა) და სხვა. თსუ QS Emerging Europe and Central Asia Rankings-ის შარშანდელი მონაცემებით 109-ე ადგილს იკავებდა.



რა ხელშეწყობა აქვს პალიატიურ მზრუნველობას საქართველოში?

სიმპოზიუმს თსუ-მ უმასპინძლა





საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების დონეზე პალიატიური მზრუნველობის დამკვიდრების ხელშეწყობას მიეძღვნა „პალიატიური მზრუნველობის მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი“, რომელიც ექიმთა მსოფლიო ასოციაციის (ემა) გენერალური ასამბლეას ფარგლებში თბილისში 21-25 ოქტომბერს გაიმართა. სიმპოზიუმს, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსდა, 22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

სიმპოზიუმზე პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარებაზე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე მსჯელობდნენ მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები, დარგის ფუძემდებლები და სპეციალისტები.

თემატიკა, რომელსაც მეცნიერთა მოხსენებები შეეხებოდა, მოიცავდა პალიატიური მზრუნველობის ფილოსოფიას და მნიშვნელობას, ძნელად მართვად ტკივილთან დაკავშირებულ პრობლემებს, ბავშვთა პალიატიურ მზრუნველობას, ავადმყოფთა უფლებებს, ამ დარგში სამედიცინო პერსონალის დახელოვნებას, განათლებას, დარგის განვითარებისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებს, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას სისტემის მიმართ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

გვ. 3

ნომერში

■ ანტიბიოტიკების გამოყენების მომავალი სტომატოლოგიაში – კვლევა, რომელიც თსუ-ის პროფესორმა მამუკა მარგველაშვილმა მსოფლიო ფედერაციის 107-ე მსოფლიო კონგრესში მონაწილეობისას წარადგინა
გვ. 2

■ უნივერსიტეტმა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების (Times Higher Education World University Rankings) წარმომადგენლებს უმასპინძლა
გვ. 2

■ პოლიტიკა და ლიტერატურა – ამბივალენტური მთლიანობა
გვ. 6

■ თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრი ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის კონსორციუმის სრული წევრი გახდება
გვ. 7

მეორედ არჩეული დეკანის განსხვავებული და ახალი გეგმები

■ თამარ გაგოშიძე: ადრეული განათლების სპეციალისტის მოსამზადებელი საბაკალავრო პროგრამის შემუშავებას ვგეგმავთ
გვ. 5

დაჯილდოება

■ ზურაბ ჭუმბურიძეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია მიენიჭა
მეცნიერს პრემია მიენიჭა ქართველოლოგიის დარგში შესრულებული მნიშვნელოვანი ნაშრომისთვის „ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები“.
გვ. 14

გახსენება

■ ლეგენდები არ კვდებიან
ადამიანს, რომელმაც საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლა შექმნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები იხსენებენ.
გვ. 14-15

ანტიბიოტიკების გამოყენების მომავალი სტომატოლოგიაში – კვლევა, რომელიც თსუ-ის პროფესორმა მსოფლიო ფედერაციის 107-ე მსოფლიო კონგრესში მონაწილეობისას წარადგინა

ნინო კაკულია

2-15 სექტემბერს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორმა მამუკა (ვლადიმერ) მარგველაშვილმა სანფრანცისკოში გამართულ სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის 107-ე მსოფლიო კონგრესში მიიღო მონაწილეობა.

სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაცია უძველესი ორგანიზაციაა, რომელიც 1900 წელს დაარსდა და აერთიანებს 150-ზე მეტი ქვეყნის სტომატოლოგთა ეროვნულ ასოციაციას, მათ შორის, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციას და საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციას. სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაცია წარმართავს მსოფლიოში სტომატოლოგიური მეცნიერების, კვლევის, სწავლების ორგანიზაციის პოლიტიკას. ყოველწლიურად მსოფლიო კონგრესის ფარგლებში ტარდება გენერალური ასამბლეა, რომელსაც უძღვება ე.წ. სტომატოლოგთა მსოფლიო პარლამენტი. სწორედ ამ პარლამენტის წევრი გახლავთ 1998 წლიდან პროფესორი მამუკა (ვლადიმერ) მარგველაშვილი საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციიდან.

„ჩემთვის ეს იყო 24-ე მსოფლიო კონგრესი, რომელშიც მივიღე მონაწილეობა. შემდეგ გენერალურ ასამბლეაზეც მომიწია სიტყვით გამოსვლა. სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის კონგრესის ფარგლებში ტარდება ფედერაციის რეგიონალური (ევროპის, ჩრდილო ამერიკის, ლათინური ამერიკის, აფრიკის და აზიის) ორგანიზაციების პლენარული სხდომები. მე, როგორც ევროპის წარმომადგენელი, ევროპის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე (ამ კომიტეტს ჰქვია ERO Integration), ვესწრებოდი ევროპის პლენარულ სხდომას, სადაც ასევე გამოვედი სიტყვით. წამოვაყენე საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები, რომ საჭიროა მოხდეს ჰარმონიზაცია ჩვენი სტომატოლოგიური კანონმდებლობისა და რეგულაციებისა, რათა რაც შეიძლება მალე დავუახლოვდეთ დასავლეთ ევროპას, ჩრდილო ამერიკას თუ სხვა წამყვან ქვეყნებსაც. ჩვენი ძირითადი მიზანია, რომ დროულად მოხდეს ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ეროვნული სტომატოლოგიური ასოციაციების ინტეგრირება უკვე განვითარებული და ცივილიზებული ქვეყნების ასოციაციებთან“, — აღნიშნა მამუკა მარგველაშვილმა სანფრანცისკოში ვიზიტთან დაკავშირებით.

მამუკა (ვლადიმერ) მარგველაშვილი

პროფესორმა სხდომაზე, ასევე, საინტერესო სამეცნიერო მოხსენება წარადგინა კვლევის შესახებ, რომელიც ეხებოდა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენების ეფექტურ იმპლემენტაციას. კვლევა ჩატარდა მსოფლიოს 4 ქვეყანაში (საქართველო, ალბანეთი, მაროკო, თურქეთი). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 500-მდე ექიმმა. სწორედ ამ კვლევის შედეგები და ანალიზი წარადგინა პლენარულ სხდომაზე პროფესორმა მამუკა მარგველაშვილმა.

„კვლევის მთავარი არსი გახლავთ ის, თუ რამდენად ხშირად და მართებულად ნიშნავენ სტომატოლოგები ანტიბიოტიკებს ყოველდღიურ პრაქტიკაში. საერთო კვლევებით დადგენილია, რომ დანიშნული ანტიბიოტიკების 10-12% მოდის სტომატოლოგებზე. ასევე, ჩვენ გამოვიკვლიეთ, ძირითადად, რატომ ინიშნება ანტიბიოტიკები ამა თუ იმ ქვეყანაში? რა ცოდნა აქვთ ექიმებს ანტიბიოტიკების მოქმედების შესახებ? კვლევაში მონაწილეობდნენ ასაკობრივი ჯგუფები. შედეგები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნის შედეგები ერთმანეთს არ ეთანხმებოდა. მაგალითად, თურქეთში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ექიმები აღნიშნავდნენ, რომ მათ გაცილებით ნაკლები ინფორმაცია აქვთ ანტიბიოტიკების მოქმედების თაობაზე, სხვა ქვეყნებში კი ეს ასე არ იყო. ახლა ვამზადებთ სტატიას, რომელშიც უფრო საინტერესო დასკვნების გამჟღავნება შეგვეძლება. საერთოდ, ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ ინფორმაცია არასაკმარისია და საჭიროა ამ მიმართულებით დამატებითი სემინარების, კონფერენციების გამართვა, რათა ექიმები უფრო მეტად იყვნენ ინფორმირებული, უფრო კორექტულად და სწორ შემთხვევებში მოხდეს ანტიბიოტიკების დანიშვნა და მისი მართებულად გამოყენება პაციენტის სასარგებლოდ“, — განაცხადა მამუკა მარგველაშვილმა.

> ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ ინფორმაცია არასაკმარისია და საჭიროა ამ მიმართულებით დამატებითი სემინარების, კონფერენციების გამართვა, რათა ექიმები უფრო მეტად იყვნენ ინფორმირებული, უფრო კორექტულად და სწორ შემთხვევებში მოხდეს ანტიბიოტიკების დანიშვნა და მისი მართებულად გამოყენება პაციენტის სასარგებლოდ.

როგორც პროფესორი ამბობს, მომავალ წელს საქართველოში სტომატოლოგიის მიმართულებით რამდენიმე კარგი ღონისძიება იგეგმება. ქართული დელეგაციის სანფრანცისკოში ვიზიტისას დაიგეგმა უცხოელ პროფესორთა ჩამოსვლა საქართველოში, რომლებიც ქართველ ექიმ-სტომატოლოგებს გააცნობენ უახლეს ინფორმაციას სტომატოლოგიის დარგში ახალი სამეცნიერო მიღწევების და პრაქტიკული ღონისძიებების კუთხით. დაიგეგმა საქართველოს იმპლანტოლოგთა მე-6 საერთაშორისო კონგრესიც, რომელიც მაისში გაიმართება თბილისში, სადაც სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის ახლად არჩეული პრეზიდენტი, დოქტორი გერჰარტ სიბერგერიც ჩამოდის.

უნივერსიტეტმა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების (Times Higher Education World University Rankings) წარმომადგენლებს უმასპინძლა

რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების (Times Higher Education World University Rankings) წარმომადგენლებს უმასპინძლა. თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების ბრენდ და გენერალურმა მენეჯერმა მაიკლ ლუბაჟიმ დამსწრე საზოგადოებას თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების მეთოდოლოგია გააცნო, რანჟირებაში ქართული უნივერსიტეტების შედეგები და შესაძლებლობები, ასევე მსოფლიო რეპუტაციის და ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების გზები განიხილა. თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირება (Times Higher Education World University Rankings) მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების რანჟირებაა, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე მეოთხე წელია წარმოდგენილია

და ერთადერთი უნივერსიტეტია არამხოლოდ საქართველოდან, არამედ რეგიონიდან.

„დიდი პატივია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსვლა და საუბარი არა მხოლოდ რანჟირების მნიშვნელობაზე. ვფიქრობ, რომ ქართულ უნივერსიტეტებს თანამშრომლობისა და კვლევითი კოლაბორაციების შედეგად შეუძლია ბევრი სარგებელი მიიღოს. რანჟირება უნივერსიტეტებს დაეხმარება კარგი სტრატეგიის შექმნასა და წინსვლაში“, — განაცხადა მაიკლ ლუბაჟმა.

„Times Higher Education არის ყველაზე სანდო რეიტინგული კომპანია, რომელიც აკეთებს უმაღლესი განათლების დაწესებულებების შეფასებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ჩვენი რეგიონიდან მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია მეოთხედ წარმოდგენილი რეიტინგში. ამ ჯგუფის ჩამოსვლის მიზანი არის ის, რომ სხვა უნივერსიტეტებსაც გავუზიაროთ გამოცდილება, რომელიც დაგროვდა წლების განმავლობაში, ვაჩვენოთ ის გზები, თუ როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ ჩვენი პოზიციები რეიტინგში, მოვიზიდოთ საერთაშორისო სტუდენტები, რაც ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირებისთვის არის აუცილებელი“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

რა ხელშეწყობა აქვს პალიატიურ მზრუნველობას საქართველოში?

სიმპოზიუმს თსუ-მ უმასპინძლა

თამარ დადიანი

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა პალიატიურ მზრუნველობასაც მოიცავს. რა არის პალიატიური მზრუნველობა? საქართველოს კანონმდებლობაში პალიატიური მზრუნველობა შემდეგნაირადაა განმარტებული: „აქტიური, მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, სულიერი თანადგომა. იგი ვრცელდება იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება; ასეთი მზრუნველობით შესაძლებელია ავადმყოფისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება“.

ჯანმრთელობის მიხედვით ქვეყნის მოსახლეობა სამ ჯგუფად იყოფა: ჯანმრთელები, განკურნებადი ავადმყოფები და ადამიანები, რომელთა განკურნებაც შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ჯანდაცვის სისტემაც სამი მიმართულებით ვითარდება: პრევენციული, სამკურნალო და პალიატიური. პალიატიური მზრუნველობა ქრონიკულად დაავადებულებისთვის, შიდსით, ძვალკუნთოვანი დაავადებებით, პარკინსონის და ა.შ. დაავადებებით შეპყრობილი ადამიანებისთვის არის გამიზნული.

„არ შეიძლება ადამიანი ბოლომდე არ იყოს საზოგადოების ღირსეული წევრი — ეს არის პალიატიური მზრუნველობის ფილოსოფია“ — მიაჩნია პროფესორ დიმიტრი კორძაიას, რომელსაც პალიატიური მზრუნველობის მნიშვნელობა ჯერ კიდევ წლების წინ ჰქონდა კარგად გააზრებული. მაშინ საქართველოში უკურნებელი სენით შეპყრობილი ადამიანებისა და მათი ოჯახების დახმარებაზე არავინ ფიქრობდა. დიმიტრი კორძაიამ კი სწორედ მაშინ საქართველოში პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული ასოციაცია დააფუძნა. იგი შეიძლება საქართველოში ამ მიმართულების ერთერთ ფუძემდებლადაც მივიჩნიოთ.

მთელ მსოფლიოში პალიატიური მზრუნველობის და ჰოსპისის საერთაშორისო დღე 13 ოქტომბერს აღინიშნება. საქართველოშიც უკვე ტრადიციად იქცა ამ დღის აღნიშვნა და პალიატიური მზრუნველობის თემასთან დაკავშირებულ არაერთ პრობლემაზე მსჯელობა უკვე აქტიურად მიმდინარეობს.

პალიატიური მზრუნველობის მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი თსუ-ში

საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების დონეზე პალიატიური მზრუნველობის დამკვიდრების ხელშეწყობას მიეძღვნა „პალიატიური მზრუნველობის მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი“, რომელიც ექიმთა მსოფლიო ასოციაციის (ემა) გენერალური ასამბლეას ფარგლებში თბილისში 21-25 ოქტომბერს გაიმართა. სიმპოზიუმს, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსდა, 22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

სიმპოზიუმზე პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარებაზე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე მსჯელობდნენ მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები, დარგის ფუძემდებლები და სპეციალისტები.

სიმპოზიუმის გახსნას ესწრებოდნენ: პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დიმიტრი კორძაია, თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი სიმონ დალაქიშვილი, ამავე დეპარტამენტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი, მედიცინის დოქტორი ელენე ჯანბერიძე, პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო ექსპერტი, ონკოლოგი, პროფესორი თამარ რუხაძე, საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარე, პროფესორი გია ლობჟანიძე, აჭარის პალიატიური მზრუნველობის სამსახურის ხელმძღვანელი, ონკო-ქირურგი, მედიცინის დოქტორი მემედ ჭინჭარაძე და სხვები.

თემატიკა, რომელსაც მეცნიერთა მოხსენებები შეეხებოდა, მოიცავდა პალიატიური მზრუნველობის ფილოსოფიას და მნიშვნელობას, ძნელად მართვად ტკივილთან დაკავშირებულ პრობლემებს, ბავშვთა პალიატიურ მზრუნველობას, ავადმყოფთა უფლებებს, ამ დარგში სამედიცინო პერსონალის დახელოვნებას, განათლებას, დარგის განვითარებისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებს, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას სისტემის მიმართ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

„2000 წლიდან დღემდე, საქართველოში პალიატიური მზრუნველობის შექმნის გზაზე მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ხელმიუწვდომელია თუნდაც საბაზისო პალიატიური მზრუნველობა (ტკივილის და სხვა სიმპტომთა ადეკვატური მართვა) მისი საჭიროების მქონე პირთა დიდი ნაწილისათვის, რაც არა მარტო სამედიცინო-ჯანდაცვითი, არამედ ეთიკური და ადამიანთა უფლებების სფეროს პრობლემაა. ეს, ერთი მხრივ, ასახავს პალიატიური მზრუნველობის თაობაზე ინფორმირებულობის, ასევე, პროფესიული განათლების დეფიციტს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამისი პოლიტიკური ნების დეფიციტს ან პალიატიური მზრუნველობის მნიშვნელობის არასწორ გააზრებას — შესაბამისი მიმართულებების მესვეურების (გადაწყვეტილების მიმღებების) მიერ. ეს სისტემა, სამწუხაროდ, ჩვენთან არ არის კარგად განვითარებული. 20 წელია სხვადასხვა ორგანიზაციები ვცდილობთ, რომ ეს სამსახური ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტს გაუტოლდეს და მთელი ქვეყნის საზოგადოება მოვიცვათ, მაგრამ, ჯერჯერობით, მიზანს ვერ მივაღწიეთ“, — აღნიშნა პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა.

> 20 წელია სხვადასხვა ორგანიზაციები ვცდილობთ, რომ ეს სამსახური ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტს გაუტოლდეს და მთელი ქვეყნის საზოგადოება მოვიცვათ, მაგრამ, ჯერჯერობით, მიზანს ვერ მივაღწიეთ!

როგორც გაირკვა, დიდ ბრიტანეთში ამ დარგის დასაფინანსებლად 25 მილიონი ფუნტი სტერლინგია გამოყოფილი, საიდანაც 12 მილიონი კერძო დაფინანსებიდან მოდის, ხოლო 9 მილიონი სახელმწიფოსგან. „ხედავთ, რამხელა დისპროპორციაა და ეს მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთი ნიმუშია პალიატიური მზრუნველობის წარმატებული სისტემის მოწყობის. ამ მიმართულებით აუცილებელია ჩვენი ძალისხმევის მიმართვა“, — განაცხადა პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ, რომელმაც პალიატიური მზრუნველობის დაფინანსების საკითხის გადაწყვეტა ერთერთ აქტუალურ პრობლემად გამოყო.

„პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბალტიისპირეთის შემდეგ, საქართველო პირველი იყო, სადაც პალიატიური მზრუნველობის სერვისის ჩამოყალიბება დაიწყო. ბევრი ვიმუშავეთ ამ მიმართულებით, ბევრ წარმატებას მივაღწიეთ და უცხოელი კოლეგების ცოდნის გაზიარებით შევძელით, რომ 2004 წელს ქართველ პაციენტებს ამ სერვისის პირველად სარგებლობის საშუალება მივეცით. ამავე წლიდან დაიწყო როგორც სტაციონარული, ისე ბინაზე მომსახურეობაც. 2005 წლიდან 2012 წლამდე ამ სერვისით, გარკვეულწილად, დაიფარა საქართველოს 5 რეგიონი. ამ პერიოდში საზოგადოების ცნობადობა აღნიშნული სერვისის მიმართ საკმაოდ ამაღლდა. სამწუხაროდ, სტაციონარებში ეს სერვისი ხარისხით ვერ დაიკვეხნის... ამ მიმართულების განვითარებას განათლება, კეთილი ნება, პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, რათა მომსახურების ხარისხმა საერთაშორისო სტანდარტები დააკმაყოფილოს. საჭიროა საზოგადოების, მოხალისეების ჩართვა, ფსიქოლოგების, სოციოლოგების კოორდინალური მუშაობა და მულტიდისციპლინარული გუნდის არსებობა. ყველამ ერთად უნდა იზრუნოს, რომ პაციენტმა სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მშვიდად გაატაროს“, — განაცხადა პროფესორმა თამარ რუხაძემ.

საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარის გია ლობჟანიძის აზრით, პალიატიური მზრუნველობის სერვისების სრულყოფის მიზნით აუცილებელია მთელი რიგი საკითხების საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, რაზეც უცხოელი ექსპერტების მიერ სიმპოზიუმზე შემუშავებული რეკომენდაციებიც მიუთითებენ. „საქართველოში გაიხსნა მსოფლიო ექიმთა ასოციაციის გენერალური ანსამბლეა, სადაც 100-ზე მეტი ქვეყნის ექიმი და 300-ზე მეტი დელაგატი იღებს მონაწილეობას. საქართველო გახდა აღმოსავლეთ ევროპაში პირველი სახელმწიფო, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს. ამ ასამბლეას ერთი კარგი ტრადიცია აქვს: მისი მსვლელობის პერიოდში ერთი დღე დათმობილი აქვს სამეცნიერო სესიას. მიმდინარე წლის სესიის თემად სწორედ პალიატიური მზრუნველობა შეირჩა. ამ სესიის მომზადებაში საქართველოს ექიმთა ასოციაციასთან ერთად აქტიურად ჩაერთო საქართველოს პალიატიური ზრუნვის ასოციაცია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

როგორც მოგეხსენებათ, პალიატიური მზრუნველობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისის განვითარება საქართველოში 2000 წლის დასაწყისიდან დაიწყო. ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი გასაკეთებელია. დღეს აქ ჩამოსული არიან მსოფლიოში წამყვანი ექსპერტები, რომლებიც უნიკალურ ლექცია-სემინარებს ჩაატარებენ და ქართველ კოლეგებს თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ. დარგის შემდგომი განვითარებისთვის საინიციატივო პაკეტებია შესამუშავებელი და რა რეზოლუციებსაც მივიღებთ, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ის უნდა გაითვალისწინოს და შეასრუ-

გვ. 4

რა ხელშეწყობა აქვს პალიატიურ მზრუნველობას საქართველოში?

სიმპოზიუმს თსუ-მ უმასპინძლა

მე-3 გვ-დან

ლოს“, — აღნიშნა პროფესორმა გია ლობჟანიძემ.

სიმპოზიუმზე საერთაშორისო რანგის ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის მეტნაკლებად ცნობილი აღმოჩნდა საქართველოში ამ დარგის მდგომარეობა, რაც მათ მოხსენებებშიც გაცხადდა. ოქსფორდის პალიატიური ზრუნვის საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელმა რობერტ ტვაიკროსმა თავის მოხსენებაში — „პალიატიური მზრუნველობა: რა, ვინ, სად და როგორ?“ — ყურადღება გაამახვილა პალიატიური მზრუნველობის მნიშვნელობაზე, პრაქტიკაში სხვადასხვა ტიპის ტკივილის მართვის თავისებურებებზე. „ტკივილი უნდა შეფასდეს, როგორც სომატო-ფსიქოლოგიური ფენომენი; ყურადღებით უნდა გამოვიკვლიოთ მისი მიზეზები. შესაძლებლობის შემთხვევაში, ერთობლივად უნდა იქნას გამოყენებული მედიკამენტოზური (საჭირო წამლები, საჭირო დოზებით და საჭირო ინტერვალებით) და არამედიკამენტოზური მკურნალობა“, — აღნიშნა პროფესორმა რობერტ ტვაიკროსმა, რომელმაც ავადმყოფების ისტორიების კვლევების საფუძველზე ტკივილის სხვადასხვა სახეობის მართვისთვის შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები წარმოადგინა.

სიმპოზიუმის გახსნისას კიდევ ერთმა უცხოელმა მეცნიერმა ჰავიერ ბატისტემ (director of WHO Collaborating Center for palliative Care Public Health Programs Barcelona, Chair of Palliative Care, University of Vic Spain) წაიკითხა მოხსენება, რომელიც კატალონიაში პალიატიური მზრუნველობის სერვისის დაფუძნებასა და განვითარებას შეეხებოდა. მან ასევე ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შეიძლება კატალონიური პალიატიური მკურნალობის მოდელის მაგალითზე პალიატიური მზრუნველობის ქართული მოდელის განვითარება და სრულყოფა.

რას შეუწყობს ხელს საუნივერსიტეტო რეკომენდაციები

თსუ-ის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ნინო ოკრიბელაშვილმა სიმპოზიუმზე გამომსვლელთა მოხსენებები და ძირითადი აქცენტები შეაჯამა და აღნიშნა, რომ პალიატიური მზრუნველობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის დიმიტრი კორძაიას ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში გამართული ღონისძიება დიდ სტიმულს მისცემს პალიატიური ზრუნვის სერვისების განვითარებას საქართველოში. „საბედნიეროდ, მსგავსად მრავალი სხვა ქვეყნისა, ჩვენშიც დაიწყო პალიატიური მზრუნველობის განვითარება და, ერთი შეხედვით, „უიმედო“ პაციენტებსაც იმედი გაუჩნდათ — ტკივილის და სხვა მტანჯველი სიმპტომების შემსუბუქებისა. დღეს პაციენტებისათვის გარკვეულ ფარგლებში უკვე ხელმისაწვდომია პალიატიური მზრუნველობა როგორც ბინაზე მოვლის, ისე სტაციონარში (საავადმყოფოში) გაწეული სამედიცინო მომსახურების სახით, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში ტარდება.

პალიატიური ზრუნვის დროს, ასევე, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვა, ადამიანზე ორიენტირებული პროგრამების განვითარება, მისი უზრუნველყოფა არა მარტო ტკივილგამაყუჩებლებით, არამედ ფსიქოსოციალური კეთილდღეობითაც. მიმაჩნია, რომ სიმპოზიუმი ბევრ საჭირო ინფორმაციას მოგვცემს, რომელიც ხელს შეუწყობს პალიატიური ზრუნვის სერვისების განვითარებას საქართველოში. მოხარული ვარ, რომ ასეთი წარმომადგენლობითი ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი და მისი დეკანია“, — განაცხადა პროფესორმა ნინო ოკრიბელაშვილმა.



სიმპოზიუმის გახსნის დასასრულს, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ მადლობა გადაუხადა ქართველ და უცხოელ კოლეგებს ღონისძიებაში მონაწილეობისთვის და აღნიშნა, რომ „სიმპოზიუმის „საუნივერსიტეტო რეკომენდაციები“ ხელს შეუწყობს პალიატიური მზრუნველობის როგორც დიპლომამდელი, ისე დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და დარგში სამეცნიერო კვლევების სწორად დაგეგმვა-წარმართვას, მათ შორის, სადოქტორო თუ სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში. სიმპოზიუმის მასალები გავრცელდება თსუ-ის ვებ-გვერდისა და პალიატიური მზრუნველობის პროფესიული ელექტრონული ქსელების საშუალებით: ისინი განთავსდება „ჰოსპისის და პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო ასოციაციის“ და „პალიატიური მზრუნველობის ევროპული ასოციაციის“ ვებ-გვერდებზე. სიმპოზიუმის მოხსენებათა აბსტრაქტები და რეკომენდაციები გამოქვეყნდება თსუ-ის ინგლისურენოვან სამეცნიერო ჟურნალში „Translational and Clinical Medicine“, Georgiam Medical Journal“, რომელიც ინდექსირებულია „Google Scholar“-ში“.

სიმპოზიუმის მუშაობის დროს გამოიკვეთა, რომ პალიატიური მზრუნველობის საკითხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა საქართველოში. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, სიკვდილიანობის მაჩვენებელი საგანგაშოა — ათასობით ადამიანი საჭიროებს პალიატიურ მზრუნველობას. დღეისათვის არსებობს ხელმისაწვდომი და მეცნიერულად დასაბუთებული მკურნალობის საშუალებები ტკივილის მართვისათვის და, ამდენად, არაეთიკურია იმ შესაძლებლობების გამოუყენებლობა, რასაც პალიატიური მზრუნველობა იძლევა აღნიშნული კატეგორიის პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის პალიატიური მზრუნველობის სერვისით სარგებლობა გარანტირებული იქნება მაშინ, როცა ქვეყნის მმართველი ორგანოები სიმპოზიუმზე გამოთქმულ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ და სისტემას უფრო სრულყოფილს და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისს გახდიან.



თამარ გაგოშიძე: ადრეული განათლების სპეციალისტის მოსამზადებელი საბაკალავრო პროგრამის შემუშავებას ვგეგმავთ

მეორედ არჩეული დეკანის განსხვავებული და ახალი გეგმები

ნატო ობოლაძე

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტმა პროფესორ თამარ გაგოშიძეს ნდობა კიდევ ერთხელ ერთხმად გამოუცხადა და დეკანად მეორე ვადით აირჩია. ფსიქოლოგიისა და განათლების მიმართულება ცალკე ფაკულტეტად 2014 წელს ჩამოყალიბდა. მას შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, მათ შორის, თსუ-ის III კორპუსის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, დაიწყო საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-კვლევითი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალის“ გამოცემა, ამოქმედდა სტუდენტური კონსულტირების ცენტრი, სადაც სტუდენტები ფსიქოლოგიურ მომსახურებას იღებენ და, ასევე, პრაქტიკულ სწავლებასაც გადიან.

რას გეგმავს დეკანი ამჯერად? პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების ხედვა გაგვაცნო.

— ქალბატონო თამარ, წინ კიდევ 4 წელია, ფაკულტეტზე რა სახის ცვლილებებს გეგმავთ, რა არის თქვენი სამუშაო კონცეფციის მთავარი პრიორიტეტი?

— პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ფაკულტეტს, რომ კიდევ ერთხელ გამომიცხადა ნდობა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ის ჩემს ძველ კონცეფციასთან შედარებით განსხვავებულია, რადგან მაშინ ფაკულტეტი ყალიბდებოდა და, სასწავლო-კვლევითი მიმართულების გარდა, ბევრი ინფრასტრუქტურული და მატერიალური საკითხი იყო მოსაგვარებელი. ამ ეტაპზე პრიორიტეტები ცოტა განსხვავებულია. უპირველესი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. კონკურენცია მზარდია, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ამოქმედდა და ვალდებულები ვართ, განვითარებაზე მუდმივად ვიზრუნოთ. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ვგულისხმობ, ვცდილობ, რომ ჩვენს ფაკულტეტზე სწავლების ელექტრონული საშუალებების გამოყენება დავიწყოთ. მეორე მნიშვნელოვანი სტრატეგია კომერციალიზაციაა. ჩვენს ფაკულტეტს ამის დიდი ინტელექტუალური რესურსი გააჩნია. ჩვენი ფაკულტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია განათლების მეცნიერებების განვითარება, რადგან დღეს განსაკუთრებული გამოწვევის წინაშეა მასწავლებლის მომზადება. ჩემი ერთ-ერთი მიზანი, რომელიც აუცილებლად უნდა განვახორციელოთ ფაკულტეტზე, არის ადრეული განათლების სპეციალისტის მოსამზადებელი საბაკალავრო პროგრამის შემუშავება. ასეთი პროგრამები არ არის საქართველოში, არადა საბავშვო ბაღის კვალიფიციურ პედაგოგზეა დიდწილად დამოკიდებული მომავალი პიროვნების ჩამოყალიბება.

— კომერციალიზაციის განხორციელებას რა სახის პროექტებით გეგმავთ?

— ჩვენ კარგი სპეციალისტები გვყავს განათლების ფსიქოლოგიაში, ბავშვის ფსიქოლოგიაში, რომლებიც სწავლა-სწავლების მეთოდების კუთხით სკოლის პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარებიან, ასევე ინკლუზიური განათლების, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის, პოზიტიური ფსიქოლოგიის მიმართულებებით შესაძლებელია ტრენინგებისა თუ სასერტიფიკატო პროგრამების ამუშავება. კომერციალიზაცია ჩვენი ფაკულტეტის ეკონომიკურ მდგრადობა-განვითარებას შეუწყობს ხელს.

> ვცდილობ, რომ ჩვენს ფაკულტეტზე სწავლების ელექტრონული საშუალებების გამოყენება დავიწყოთ. მეორე მნიშვნელოვანი სტრატეგია კომერციალიზაციაა. ჩვენს ფაკულტეტს ამის დიდი ინტელექტუალური რესურსი გააჩნია. ჩვენი ფაკულტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია განათლების მეცნიერებების განვითარება, რადგან დღეს განსაკუთრებული გამოწვევის წინაშეა მასწავლებლის მომზადება.

მესამე მნიშვნელოვანი მიზანია ჩვენი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. ვცდილობთ, ჩვენს პროფესურას ხელი შევუწყოთ საერთაშორისო პროექტებში ჩართვის მხრივ. ახლახანს მოვიგეთ „ერაზმუს+“-ის დიდი გრანტი, რომლის ფარგლებშიც მომავალი და უკვე მოქმედი მასწავლებლებისთვის ინკლუზიური განათლების მოდულის შემუშავება იგეგმება. ასეთი სახით პროექტები უცხოელ პარტნიორებთან კომუნიკაციის კარგი საშუალება და წინაპირობაა მომდევნო ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად, რადგან, ზოგადად, კვლევითი გრანტების მოძიება ბევრად რთულია.

— საქართველო ახლახან გაწევრიანდა ევროკავშირის ორგანიზაცია EURAXESS-ში, რაც ქართველი მკვლევრებისთვის მასშტაბურ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში ჩართვის ახალი საშუალებაა...

— ჩვენი მთავარი მიზანია ასეთი დაფინანსების წყაროების ძიება. ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახური აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის მოძიება-გავრცელებაში. თუმცა, რესურსი არ გვყოფნის, რომ პროფესორებს საგრანტო განაცხადის დაწერაში დავეხმაროთ, რაც მარტივი საქმე არ გახლავთ. ამ მიმართულებით სერიოზულ ცვლილებებს განვახორციელებთ. ჩვენი მიზანია შიდასაუნივერსიტეტო თუ საერთაშორისო დონეზე რესურსების მოძიებით კვლევითი პროცესის მაქსიმალური ხელშეწყობა.

— სწავლების ხარისხის გაზრდა გულისხმობს თანამედროვე სახელმძღვანელოებს — როგორც უცხოელი ავტორების ნაშრომების თარგმნას, ასევე, ჩვენი მეცნიერების კვლევებზე დაყრდნობით შედგენილ სასწავლო დანიშნულების წიგნების გამოცემას. ამ მიმართულებით რას გეგმავთ?

— ბუნებრივია, საბაკალავრო დონეზე ვალდებულები ვართ, რომ ჩვენი სტუდენტები ქართულენოვანი ლიტერატურით მოვამარაგოთ. თუმცა, ეს მარტივი პროცესი არ არის — დიდი ფინანსური რესურსია საჭირო, რომ სპეციალისტებს ათარგმნინო და გამოსცე უცხოენოვანი სახელმძღვანელოები. მიუხედავად ამისა, მოვახერხეთ და ვთარგმნეთ ორი წიგნი, ერთი ახლა გამოვა — განვითარების ფსიქოლოგიაში, მეორე გამოცემის პროცესშია — ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. რიდერის სახით ვიყენებთ ცნობილ სახელმძღვანელოებს კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, სოციალურ ფსიქოლოგიაში. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ბევრად ეფექტური იქნება ჩვენი პროფესურის მიერ სახელმძღვანელოების გამოცემა, სადაც ამა თუ იმ კონკრეტული მიმართულებით მათი ცოდნა, თანამედროვე მიდგომები და თეორიები იქნება მოცემული.

— საზოგადოებას აქტიურად აწვდით ინფორმაციას თანამედროვე ფსიქოლოგიური პრობლემების, გამოწვევების შესახებ. სთავაზობთ რჩევებს და საუბრობთ ფსიქოლოგის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე... როგორია ახლა საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ? თქვენი აზრით, რამდენად გაიზარდა მოთხოვნა ფსიქოლოგიის დარგის სპეციალისტებზე?

— საჯარო სკოლებში სპეციალური განათლების მასწავლებლის კადრებზეა მოთხოვნა, რომელსაც, ძირითადად, ფსიქოლოგები აკომპლექტებენ. ჩვენ მიერ მოგებული გრანტის ფარგლებში მუშაობას სწორედ ამ მიმართულებით ვგეგმავთ — ვაპირებთ მასწავლებლები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის სწავლების მეთოდებში მოვამზადოთ. მოთხოვნა ნამდვილად დიდია, მიწოდება — მცირე, რადგან შესაძლებლობებში შეზღუდულები ვართ. სკოლებში ასევე დიდია ფსიქოლოგის მოთხოვნა, უბრალოდ ამ ეტაპზე სკოლის ფსიქოლოგის სტატუსი განსაზღვრული არ არის. ამ მიმართულებით ჩვენი ფაკულტეტი აქტიურობს, ვგეგმავთ სხვა უნივერსიტეტების ფსიქოლოგებსაც დავუკავშირდეთ და ერთობლივად შევიმუშაოთ საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საზოგადოებაში ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე მოთხოვნა გაიზარდა, დამოკიდებულება პოზიტიურია — ფიქრობენ, რომ ფსიქოლოგი არის ადამიანი, რომელიც დამეხმარება, მხარს დამიჭერს კონკრეტული საკითხების გადაჭრისას. ჩემი საჯარო აქტივობა სწორედ აქეთ არის მიმართული, რომ საზოგადოება დაფიქრდეს თავის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, იპოვოს პრობლემა და გამოსავალი. ასევე, ჩემი მიზანია ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერებისა და პროფესიის, პოპულარიზაცია.

— შევეხოთ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასაც... იგეგმებოდა თსუ-ის III კორპუსის ეზოს კეთილმოწყობაც...

— გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერების გამო ეს საკითხი აქამდე ვერ მოგვარდა, თუმცა აუცილებლად გაკეთდება შემოსასვლელი კიბე, პანდუსი და ფაკულტეტის დონაციით ეზო გამწვანდება. ასევე, ვაპირებთ III კორპუსში სტუდენტებისთვის რეკრეაციული ზონების მოწყობას, სადაც ახალგაზრდები თავისუფალ დროს კომფორტულ გარემოში გაატარებენ.

პოლიტიკა და ლიტერატურა – ამბივალენტური მთლიანობა

25-27 სექტემბერს თსუ-ის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) თანამონაწილეობით ჩატარდა მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმი — „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ თემაზე: „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“.

სიმპოზიუმში, რომელიც მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა, მონაწილეობდა 100-ზე მეტი მეცნიერი მსოფლიოს 14 ქვეყნიდან, მათ შორის: აშშ-დან, გერმანიდან, იტალიიდან, სამხრეთ კორეადან, მაკედონიადან, არაბეთის გაერთიანებული საემიროდან, ბულგარეთიდან, ლიეტუადან, ლატვიადან, უკრაინიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან; აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები თბილისიდან და რეგიონებიდან. სიმპოზიუმის ფარგლებში მოეწყო დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში.

სიმპოზიუმის მიმდინარეობასა და მოხსენებებში გამოკვეთილ აქცენტებზე გვესაუბრება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ირმა რატიანი:

— ქალბატონო ირმა, საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემები“ — უკვე მეცამეტედ ტარდება. წელს იგი მიეძღვნა თემას: „XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“. ფიქრობთ, რომ უკვე დადგა დრო, შეფასდეს — რა გამოძახილი ჰპოვა ამ მოვლენებმა ლიტერატურაში?

— პოლიტიკა და ლიტერატურა, თითქოს, სრულიად განსხვავებული ცნებები და განზომილებებია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათ ამბივალენტურ მთლიანობას.

ვფიქრობ, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები პოსტსაბჭოთა ქართული მწერლობის ყველა წარმომადგენლის, როგორც გუშინდელ „სოცრეალისტთა“, ისე მომდევნო თაობის, მათ შორის, პოსტმოდერნისტების შემოქმედების მთავარ თემად იქცა. თუმცა, რამდენად ორგანულად, მასშტაბურად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩვენებით იქნა წარმოჩენილი ეს მთლიანობა, რამდენად დამაჯერებელნი, გულახდილნი, ხელოვნურ პათოსს მოკლებულნი არიან ნაწარმოებთა პერსონაჟები, განსაზღვრავს ამა თუ იმ მწერლის ოსტატობას.

წლევანდელი სიმპოზიუმის ქართველ მონაწილეთა მოხსენებებში სწორედ ამ კუთხით იქნა შეფასებული უკანასკნელი 1980-1990-იანი წლების ქართული მწერლობა. დიახ, ვფიქრობ, რომ 30-წლიანი ინტერვალის შემდეგ, პროცესების შეფასება არათუ შესაძლებელი, არამედ — საჭიროცაა, რათა სწორად გამოიკვეთოს ქვეყნის ლიტერატურული მომავლის კონტურები.

— როგორ შეაფასეს მეცნიერებმა უახლოესი წარსულის პოლიტიკური მოვლენები ლიტერატურაში, რა ძირითადი მახასიათებლები გამოიკვეთა სიმპოზიუმზე?

— მსოფლიო გლობალიზაციის, გახსნილობის ეპოქაში, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაწყებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მთელი მსოფლიოს უახლეს ისტორიაზე მოახდინა უმნიშვნელოვანესი გავლენა. აღნიშნული ეპოქის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ სოციალური პროცესები ერთნაირი სიმწვავით, ოღონდ, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით აისახა არაერთი ქვეყნის, უპირველესად, პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ბანაკის ქვეყნების ლიტერატურაში. ამიტომ სიმპოზიუმზე, როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერების მიერ წარმოდგენილი იყო მოხსენებები, რომლებშიც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში, პარალელურად იქნა განხილული ქართველ, უკრაინელ, ბელარუს და ბალტი-ისპირეთის ქვეყნების მწერალთა შემოქმედება და კონკრეტული ტექსტები. გამოიკვეთა როგორც კონცეპტუალური, ისე თემატური და სტილისტური მახასიათებლები.

— საყურადღებოა, რომელ მოხსენებას გამოარჩევდით ქართველ გამომსვლელთაგან — რაზე ამახვილებდნენ ყურადღებას ძირითადად მეცნიერები?

— სიმპოზიუმზე ძალიან ბევრი საინტერესო მოხსენება იქნა წაკითხული. მიჭირს გამორჩევა. თუმცა, რაკიღა საჭიროა, მაგალითისთვის დავასახელებდი აშშ-ს სან-დიეგოს უნივერსიტეტის პროფესორის ჯესიკა პრესმანის პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილ მოხსენებას, რომელშიც გაანალიზებული იყო პოლიტიკური მოვლენებისა და „ციფრული რევოლუციის“ თითქმის თანაბარი როლი 80-90-იანი წლების

ირმა რატიანი

ამერიკულ და ევროპულ მწერლობაში. რა გავლენა მოახდინა თანამედროვე, ციფრულმა ეპოქამ მსოფლიო ლიტერატურის როგორც ძველი ტექსტების პოპულარიზაციის, ისე თანამედროვეს შექმნის პროცესზე;

ძალზე საინტერესო იყო ბულგარეთის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის ელკა ტრაიკოვას მიერ ბულგარული სალიტერატურო პროცესის შეფასება სოციალისტური რეჟიმის პირობებში და მისი დასრულების შემდეგ;

საყურადღებო იყო მრგვალი მაგიდის დისკუსია, სადაც მოვისმინეთ ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და 80-90-იანი წლების გამორჩეული საზოგადო მოღვაწის აკაკი ბაქრაძის მიერ შემოთავაზებული ქართული ეროვნული იდენტობისა და ეთნოპორტრეტის კონცეფციის ზაზა აბზიანიძისეული ხედვა. აღსანიშნავია, რომ წელს აკაკი ბაქრაძის საიუბილეო წელი იყო და შესაბამისად, ბატონი ზაზას მოხსენებამ განსაკუთრებული რეზონანსი და ვრცელი დისკუსია გამოიწვია, რომელშიც ჩაერთნენ სხვადასხვა თაობის ქართველი ლიტერატურათმცოდნეები.

— როგორ გამოიყურება გასული საუკუნის 80-90-იანი წლები უცხოელ მეცნიერთა თვალით? არის თუ არა მათი ინტერესების არეალში ქართული ლიტერატურა, რომელშიც ეს პერიოდია ასახული?

— ამ კონფერენციის მთავარი მიზანიც ეგ იყო: ამიერიდან ქართული მწერლობა ჩართული იქნება ყველა საერთაშორისო დისკუსიაში, რომელიც კი გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ლიტერატურული პროცესების შეფასებას შეეხება. ამას უზრუნველყოფს კონფერენციის მასალების პუბლიკაცია როგორც საქართველოში, ისე — მის ფარგლებს გარეთ: უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას რამდენიმე აკადემიურ საგამომცემლო სახლთან.

ბოლო რამდენიმე წელია ქართული ლიტერატურათმცოდნეობა პოლიტიკური და ლიტერატურული პროცესების შესახებ დისკუსიის ინიციატორად და მნიშვნელოვან ავტორიტეტად მიიჩნევა. ეს გამოიწვია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა ორმა მასშტაბურმა ფორუმმა, რომელთა მასალებიც კემბრიჯის საგამომცემლო სახლმა დაბეჭდა: „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურა. მე-20 საუკუნის გამოცდილება“ (2012 წ.) და „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა. მე-20 საუკუნის გამოცდილება“ (2016 წ.).

— სიმპოზიუმზე გამომსვლელთა თემატიკა თვალშისაცემად ფართო დიაპაზონისაა. მიიჩნევთ თუ არა, რომ მოვლენებმა, რომელმაც მსოფლიოს უახლესი ისტორია შეცვალა, სამეცნიერო კვლევების თემატიკასაც მისცა სხვადასხვა მიმართულება?

— რა თქმა უნდა. მსოფლიოს უახლესი ისტორიის ცვლილებამ ახალი რეალობა მოიტანა, ახალი საზღვრები და სახელმწიფოები გააჩინა; შეიცვალა რეჟიმები და მმართველობის ფორმა. ამ ახალ რეალობასთან დაკავშირებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა პირველ რიგში ხელოვნებაზე, უპირველესად კი, ლიტერატურაზე იქონია გავლენა. ახალი ლიტერატურის ჟანრულმა და თემატურმა მრავალფეროვნებამ კი, თავის მხრივ, სამეცნიერო კვლევების თემატიკასაც ახალი მიმართულებები დაუსახა.

— რა შედეგებით დასრულდა სიმპოზიუმი, როდის იგეგმება მომავალი ფორუმი და რა იქნება ამჯერად მისი თემატიკა?

— სიმპოზიუმის შედეგები წლის ბოლოს დაბეჭდილ მასალების კრებულში მთელი სიცხადით აისახება. უკვე მიმდინარეობს მუშაობა კრებულის მომზადებაზე. რაც შეეხება მორიგი სიმპოზიუმის თემატიკას, ის, როგორც წესი, მომავალი წლის დასაწყისში, იანვრის ბოლოს გამოცხადდება. მანამდე, სიმპოზიუმის ორგანიზატორთა მიერ რამდენიმე თემა განიხილება, შეჯერდება მოსაზრებები და ყველაზე აქტუალური ან მნიშვნელოვან ლიტერატურულ თარიღთან დაკავშირებული თემა შეირჩევა. ჩატარების თარიღი კი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უცვლელია — ჩვენი სიმპოზიუმი ყოველწლიურად იხსნება სექტემბრის ბოლო ოთხშაბათს და ოთხი დღის განმავლობაში მასპინძლობს ლიტერატურათმცოდნეებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

***მოამზადა* მაია ტორაძემ**

თსუ-ის ბიბლიოთეკას კლაუს შვაგერის პირადი ბიბლიოთეკა გადმოეცა

3500-მდე წიგნითა და ალბომით გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ და ფრანგულ ენებზე შეივსო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. თსუ-ის ემერიტუსი პროფესორის კლაუს ჰიპისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ყოფილი ელჩის ლადო ჭანტურიას ხელშეწყობით, თსუ-ის ბიბლიოთეკას გერმანელი არქიტექტორის, ხელოვნებათმცოდნის, ტუბინგენის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორის კლაუს შვაგერის პირადი ბიბლიოთეკა გადმოეცა. კოლექციაში, ძირითადად, ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია, მხატვრული კრიტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, მუსიკათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, თეატრმცოდნეობა) მიმართულების ლიტერატურაა თავმოყრილი.

„ძალიან საინტერესო ბიბლიოთეკაა, უნიკალური და რთულად შესადგენი. ბიბლიოთეკა, სადაც უამრავი ალბომი, უამრავი ძველი წიგნი, ახალი გამოცემა არის შესული. ბიბლიოთეკა მართლაც მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისთვის, ვისაც უნდა სერიოზული კვლევა ჩაატაროს ბევრი მიმართულებით, მათ შორის, ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ცნობილი გერმანელი მეცნიერის კლაუს შვაგერის პირადი ბიბლიოთეკა მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის გადაწყვეტილებით, 2017 წელს თსუ-ის ბიბლიოთეკას გადმოეცა. „ძალიან დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. იმედი მაქვს, კლაუს შვაგერის ბიბლიოთეკას ხშირად გამოიყენებენ სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები“, — განაცხადა თსუ-ის საპატიო დოქტორმა, კლაუს შვაგერის მეგობარმა, პროფესორმა კლაუს ჰოპტმა.

თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, ცნობილი გერმანელი მეცნიერის კლაუს შვაგერის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც 3500-მდე საბიბლიოთეკო ერთეულს ითვლის, უძვირფასესი საჩუქარია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნადი ფონდისათვის: „შინაარსობრივად ეს ლიტერატურა არის სახელოვნებათმცოდნეო. აქ წარმოდგენილია ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება იტალიურ რენესანსს, გერმანულ მაროკოს და ა.შ. ამ მიმართულებით ვისაც აინტერესებს კვლევა, ეს არის უძვირფასესი კოლექცია“.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დახმარებით ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაში კეთილმოეწყო სივრცე, სადაც განთავსდა კლაუს შვაგერის პირადი კოლექცია.

თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრი ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის კონსორციუმის სრული წევრი გახდება

- **როგორია ლექსიკოგრაფიის მომავალი?**
- **რამდენად მართებულია მოსაზრება, რომ ტრადიციული ლექსიკონები შეიძლება საჭირო აღარ იყოს მომავალში?**
- **რამდენად მართებულია მოსაზრება, რომ ლექსიკონები და ლექსიკოგრაფიული მონაცემთა ბაზები მხოლოდ სხვადასხვა მთარგმნელობით თუ საგანმანათლებლო აპლიკაციებში უნდა იყოს ინტეგრირებული?**
- **როგორ უნდა გააცნობიერონ ლექსიკოგრაფებმა სრულად ის მოთხოვნები, რომელთაც „დიგიტალიზებული" ახალგაზრდა თაობა აყენებს?**
- **რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ლექსიკოგრაფიული და ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) სფეროები ერთმანეთს დაუახლოვდეს ორივე დარგის სასიკეთოდ?**

ეს იყო კითხვები, რომელზეც მსოფლიოს ათი ქვეყნის ლექსიკოგრაფები მსჯელობდნენ მიმდინარე წლის 8-10 ოქტომბერს თსუ-ში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე. კონფერენცია დასრულდა დისკუსიით მრგვალ მაგიდასთან თემაზე: „ლექსიკოგრაფია გზის გასაყართან".

ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის კონსორციუმი სულ რაღაც ათიოდე წლის წინ შეიქმნა რვა ევროპული უნივერსიტეტის მიერ და სწორედ მის ფარგლებში შემუშავდა უნიკალური სამაგისტრო პროგრამა (EMLex – European Master in Lexicography, Erasmus Mundus), რომელიც წარმატებით ასწავლის ლექსიკოგრაფიას სტუდენტთა საერთაშორისო კონტინგენტს და გასცემს ერთობლივ დიპლომს რვა უნივერსიტეტის რექტორების ხელმოწერით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი კონსორციუმის ასოცირებული წევრი 2017 წელს გახდა და მას შემდეგ არის ჩართული სწავლების პროცესში. პროგრამაზე უკვე სწავლობს ქართველი სტუდენტი სრული ევროპული დაფინანსებით.

„ლექსიკოგრაფია უაღრესად ინტერდისციპლინური დარგია. ამ პროგრამის სწავლების პროცესში ჩართულნი არიან სხვადასხვა მიმართულების პროფესორები, რომლებიც ზრდიან ლექსიკოგრაფთა ახალ თაობას; თაობას, რომელმაც იცის როგორც ლინგვისტური თეორიები, ისე კორპუსული ლინგვისტიკა, ბუნებრივი ენის დამუშავება, თანამედროვე ენობრივი ტექნოლოგიები. სწორედ ამ თაობამ უნდა მიიღოს გამოწვევა, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიური ეპოქა უყენებს ჩვენს დარგს. სასიხარულოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრი უკვე არის ამ კონსორციუმის ასოცირებული წევრი და ახლა რვავე უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მასპინძლობს. ის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარდა კონსორციუმის შეხვედრა და სამეცნიერო კონფერენცია, მეტყველებს იმაზე, რომ მათ ჩვენში დაინახეს ღირსეული პარტნიორი", — აღნიშნა ჩვენთან საუბარში თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელმა, ევროპული სამაგისტრო პროგრამის კონსორციუმის შეხვედრისა და კონფერენციის ორგანიზატორმა, პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

კოლოკვიუმის სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ირმა გრძელიძე, რომელიც გაეცნო კონსორციუმის ხარისხის უზრუნველყოფისა და კურიკულუმის განვითარების კომიტეტების ანგარიშების განხილვას. მან განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის ამუშავებას სრული მხარდაჭერა ექნება.

უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ლექსიკოგრაფები საფრანგეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, დანიიდან, უნგრეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან.

უახლოეს მომავალში ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის კონსორციუმის სრული წევრი თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრიც გახდება.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

უახლოეს მომავალში რობოტი საქართველოშიც გამოჩნდება

მსოფლიოს წამყვანი ქირურგები საქართველოში

ნაბო ობოლაძე



150-მდე წარმატებული ექიმი 11 ქვეყნიდან — ბათუმში საერთაშორისო კლინიკური კონფერენცია გაიმართა. მსოფლიოს წამყვანმა სპეციალისტებმა დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მიდგომების შესახებ იმსჯელეს. მედიკოსებმა ზოგადი, თორაკალური, ლაპარასკოპიული და სისხლძარღვთა ქირურგიის, უროლოგიის, ონკოლოგიის, გინეკოლოგიის, ინტერვენციული რადიოლოგიის, კარდიოლოგიისა და გასტროენტეროლოგიის აქტუალური საკითხები განიხილეს. კლინიკური კონფერენცია 2 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და ორგანიზება საქართველოს ექიმთა ასოციაციამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტმა და ბათუმის მერიამ გაუწია. კონფერენციის თანათავმჯდომარე და სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი მერაბ კილაძე. მისი თქმით: „ასეთი სახის პროექტები ახალგაზრდა ექიმებისთვის გამოცდილების გაზიარების და ახალი კონტაქტების დამყარების შესანიშნავი საშუალებაა".

კლინიკურ კონფერენციას „დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მიდგომები" მსოფლიოში აღიარებული ქირურგები სტუმრობდნენ: ისრაელის ექიმთა ასოციაციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ჰანოშ კაშტანი, სამხრეთ კორეელი ქირურგი ჰო-სეონგ ჰანი, ისრაელიდან პროფესორი მერაბ სარელი, ელი კაკიაშვილი, დიდი ბრიტანეთიდან ნადი ჰაკიმი, ისრაელიდან რობერტ ელიგერი და ა.შ.

პროფესორი ელი კაკიაშვილი ისრაელში რობოტო-ქირურგიის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში (მათ შორის ამერიკა, ბრაზილია) საჩვენებელი ოპერაციების ჩასატარებლად ხშირად იწვევენ; პროფესორი ნადი ჰაკიმი ცნობილია, როგორც ქირურგი, რომელმაც, დაახლოებით, 25 წლის წინ პირველად შეძლო გვამიდან ადამიანზე ხელის გადანერგვა; პროფესორმა ჰო-სეონგ ჰანმა დანერგა ღვიძლის ოპერაციის რამდენიმე მეთოდი, რომელიც მსოფლიოში უკვე აქტიურად გამოიყენება. სხვადასხვა დარგის ქართველმა ექიმებმა, რეზიდენტებმა და სტუდენტებმა მკურნალობისა და დიაგნოსტიკის სიახლეები სწორედ ამ სპეციალისტებისგან მოისმინეს.

„დღეს, როდესაც უწყვეტი სამედიცინო განათლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება ხარვეზებით მიმდინარეობს (განსაკუთრებით რეგიონის ექიმები ვერ ახერხებენ კვალიფიკაციის ამაღლებას), საქართველოს ექიმთა ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ ყოველწლიურად ჩაატაროს რამდენიმე მნიშვნელოვანი კონფერენცია, სადაც ცნობილი ექიმები თავის გამოცდილებას გაუზიარებენ ქართველ კოლეგებს. მისასალმებელია, რომ პრაქტიკაში დაინერგა ახალგაზრდა ექიმების საზღვარგარეთ სტაჟირების პროგრამით გაგზავნაც. მაგალითად, კორეელმა ქირურგმა ჰო-სეონგ ჰანმა ქართველი ქირურგი სეულში 6 თვით წაიყვანა. ასეთი სასწავლო ვიზიტების ფარგლებში ჩვენი ქირურგები დიდ გამოცდილებას იღებენ, მუშაობენ ცხოველებზე, სიმულაციურ ცენტრებში და ხელის გაწაფვის საშუალება ეძლევათ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავდაპირველად თავის ხელმძღვანელ უცხოელ ქირურგთან ერთად აკეთებენ

გია ლობჟანიძე

ოპერაციებს, შემდეგ უკვე — დამოუკიდებლად. ქართველი ქირურგები კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხშირად მიემგზავრებიან ისრაელშიც, საქართველოში ერთობლივი კლინიკებიც არსებობს. აქ ორგვარი სიკეთეა — იზრდებიან პროფესიონალი ქირურგები და, საჭიროების შემთხვევაში, მძიმე პაციენტების გაგზავნაც ხდება.

საერთაშორისო კლინიკური კონფერენციის ჩატარების იდეა მე და პროფესორ მერაბ კილაძეს გვეკუთვნის. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა ვუთხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი შარვაშიძეს, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს მერაბ ხალვაშს, ბათუმის მერიასა და საქართველოს ექიმთა ასოციაციას", — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, საქართველოს ექიმთა ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნული კონფერენციის თანათავმჯდომარემ გია ლობჟანიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სადაზღვევო სისტემა და, ზოგადად, ჯანდაცვის სფერო, ჯერჯერობით, რობოტული ქირურგიის დასანერგად მზად არ არის, საერთაშორისო კლინიკურ კონფერენციაზე ამ საკითხის შესახებაც იმსჯელეს.

„რობოტით ჩატარებული ქირურგიული მანიპულაციები გაცილებით ძვირია, თუმცა ვფიქრობ, რომ ქირურგიის განვითარება მიდის აქეთ და უახლოეს პერიოდში რობოტი საქართველოშიც გამოჩნდება", — აღნიშნა გია ლობჟანიძემ.

საქართველოს ექიმთა ასოციაცია ქართველი ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო-კლინიკურ კონფერენციებსა და სემინარებს ბოლო რამდენიმე წელია სისტემატურად ატარებს.

საერთაშორისო კლინიკური კონფერენცია „დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები" ბათუმში 18-20 სექტემბერს მიმდინარეობდა. კონფერენცია უკვე ტრადიციულ ხასიათს ატარებს. მსოფლიოს წამყვანი ქირურგები საქართველოში მომავალ წელსაც შეიკრიბებიან.

კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხები გლობალურ საფრთხეებს

ნაბო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია — „კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხები გლობალურ საფრთხეებს“ — გაიმართა. სამეცნიერო ღონისძიებაში ქართველი, ესპანელი და იტალიელი მეცნიერები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ევროპის უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ინსტიტუტებში მაღალი აკადემიური და ადმინისტრაციული პოზიციები უკავიათ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხები გლობალურ საფრთხეებს“ — კომბინირებული პროექტის „ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო (საქართველოს მაგალითი)“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტმა ერთობლივად განახორციელეს. პროექტს ორგანიზება და კოორდინაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა ლელა ჯანაშვილმა და ირაკლი ბურდულმა გაუწიეს.

„პროექტი სეზონურ სკოლას — „ევროპის უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები, არსებული საფრთხეები და გამოწვევები“ და დასკვნით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას — „კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხები გლობალურ საფრთხეებს“ აერთიანებდა. კომბინირებული ღონისძიების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უსაფრთხოების (როგორც სამართლებრივ, ასევე გლობალურ) საკითხებს ევროპულ და რეგიონულ დონეზე არსებული რისკების გათვალისწინებით. უსაფრთხოების თემის სამართლებრივ, სოციალურ-პოლიტიკურ და ისტორიულ ჭრილში განხილვამ სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩინა არსებული პრობლემა ქართული სახელმწიფოებრივი რეალობის გათვალისწინებით. ღონისძიების ფარგლებში განვიხილეთ უსაფრთხოების სამართლებრივი და გლობალური ასპექტები, ქართული სამართლებრივი სივრცის ინტეგრაცია, რეალობა და პერსპექტივები. ასევე, წარმოდგენილი იყო გლობალური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო სიახლეები და არსებული გამოწვევები, რომელიც დასკვნით სამეცნიერო კონფერენციაზე შევაჯამეთ“, — განაცხადა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ლელა ჯანაშვილმა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მეცნიერებმა ისეთი აქტუალური საკითხების შესახებ იმსჯელეს, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, ემიგრანტების საკითხის რეგულირება ევროკავშირში, ოკუპაციისა და ქვეყნის ტერიტორიულ ორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ენერგოუსაფრთხოება, ურთიერთობა კონსტიტუციასა და სისხლის სამართალს შორის და, ზოგადად, გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლის პროცესში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა.

„კონფერენციაზე ვისაუბრე ნაციონალურ უსაფრთხოებაზე, კანონის უზენაესობაზე და სამოქალაქო უფლებების მნიშვნელობაზე. მიმაჩნია, რომ ეს სამი იდეა ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კანონის უზენაესობის დაცვით სამართლებრივი გარემო შევქმნათ. მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ვსაუბრობთ ნაციონალურ უსაფრთხოებაზე, გავითვალისწინოთ ადამიანის ღირსების პრინციპი, რადგან ამის გარეშე ნაციონალური უსაფრთხოება შეიძლება აბსტრაქტულ ცნებად იქცეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბარსელონას უნივერსიტეტს შორის არსებული 10 წლიანი თანამშრომლობა გრძელდება. მოგეხსენებათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ლელა ჯანაშვილმა ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი მიიღო, შესაბამისად მტკიცე კავშირები არსებობს. გასული წელიც საკმაოდ ნაყოფიერი იყო: ექვსი უმაღლესი სასწავლებლის კონსტიტუციონალისტებმა გამოსცეს წიგნი ტრეფიკინგის პრობლემატიკასთან დაკავშირებით, სადაც თავისი წვლილი შეიტანა ქალბატონმა ლელა ჯანაშვილმა. ჩვენ კიდევ ბევრი გეგმა გვაქვს. ვაპირებთ, რომ გავაგრძელოთ ერთობლივი მუშაობა ნაციონალური უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით“, — განაცხადა ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის კონსტიტუციური სამართლის კათედრის ხელმძღვანელმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ჟოან ლუის პერეს ფრანჩესმა.

„ჩვენ გავაანალიზეთ, თუ რა საფრთხეები არსებობს დანაშაულისა და კონსტიტუციის ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში. განვმარტავ, ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია პატივი ვცეთ ადამიანის ღირსებას. ღირსება არის ის, რაც ყველა ადამიანს გააჩნია და თითოეულს აქვს საშუალება, რომ დაიცვას და განავითაროს ის ადამიანის უფლებების სახით. სამართალს სხვა არაფერი შეუძლია გარდა იმისა, რომ დაიცვას და დაარეგულიროს იგი. თუ ჩვენ, სამართლმცოდნეები ამ გამოწვევებს ვერ გავუმკლავდებით, მაშინ უსაფრთხოების სერიოზული პრობლემის წინაშე დავდგებით. ყველა მნიშვნელოვან საკითხს შორის, რომელსაც ამ კონფერენციაზე ვაანალიზებდით, უმნიშვნელოვანესია ადამიანის ღირსების პატივისცემა,“ — აღნიშნა ლა კორუნიას უნივერსიტეტის საეკლესიო სამართლის კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ხუან რამონ ფერეირო გალგერამ.

„კონფერენცია ძალიან საინტერესო იყო მულტიდისციპლინური თვალსაზრისით. სამართლის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კვლევებმა საშუალება მოგვცა, რომ გლობალური საფრთხეების საკითხი სხვადასხვა კუთხით გაგვეანალიზებინა. ჩემი მოხსენება ნაწილობრივ ეხებოდა გლობალური საფრთხეებისთვის ისტორიული გადაწყვეტილების მოძებნას, ძალაუფლების ბალანსს, კონსტიტუციის კონტროლს სამართლის აღსრულებაზე და ადამიანებისთვის კონსტიტუციის შესახებ ინფორმაციის მიწოდების უპირატესობას,“ — განაცხადა ბარის ალდო მოროს უნივერსიტეტის პროფესორმა სტეფანო ვინჩიმ.

„ჩემი პრეზენტაცია ევროკავშირში ადამიანთა გადაადგილების თავისუფლებასა და საჯარო უსაფრთხოებას ეხებოდა. განვიხილე, თუ რა ვითარებაა ამჟამად. აღვნიშნე, რომ დასაშვებია ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა საჯარო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ჩემი მოხსენებისას გავაანალიზეთ ევროპის კავშირში მოქმედი კანონები, რომელიც მიგრაციის საკითხს ევროკავშირისა და სახელმწიფოებრივ დონეებზე არეგულირებს და მათ შორის არსებული განსხვავებებიც განვიხილეთ“, — აღნიშნა ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ხოსე მარია დე დიოს მარსერმა.

კონფერენციაზე, გლობალური საფრთხეების განხილვისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ოკუპაცია და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა გახლდათ. ოკუპაცია და ქვეყნის უსაფრთხოება საქართველოს მაგალითზე თბილისის ღია უნივერსიტეტის პროფესორმა ნათია კალანდარიშვილი-მიულერმა მიმოიხილა. სახელმწიფოს ტერიტორიულ ორგანიზებასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ, ესპანეთის მაგალითზე, ლა კორუნიას უნივერსიტეტის კონსტიტუციური სამართლის პროფესორმა, საჯარო სამართლის დეპარტამენტის დირექტორმა სანტიაგო როურა გომესმა იმსჯელა: „ჩემი მოხსენება სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევებს ეხებოდა, როგორც კონსტიტუციური სახელმწიფოს ერთ-ერთ საფრთხეს. ჩვენ ახლა ესპანეთში პრობლემები გვაქვს, რომელიც ჩვენთვის ახალი არ არის, ვგულისხმობ კატალონიასთან დაკავშირებულ ვითარებას. თუმცა, ვფიქრობ, რომ კონსტიტუციურ სამართალს ამ საკითხის მოგვარების ბერკეტი აქვს. შესაბამისად ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ ქვეყნის ერთიანობის დაშლას ამ მეთოდით? ჩვენ გვაქვს ბერკეტები, რომელიც გამომდინარეობს დინამიკურობის იდეიდან და ეს არის ფედერალური პროცესი.

აბსოლუტურად განსხვავებული პრობლემის წინაშე დგას საქართველო. თქვენი პრობლემა ჩრდილოეთ მეზობელი რუსეთი და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან მიმართებით მისი აგრესიული, ავტორიტარული პოლიტიკაა. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა კატალონიის შემთხვევაში. ჩვენი მეზობელი ევროპული სახელმწიფო საფრანგეთია და კატალონია ყველგან განიხილება, როგორც ესპანეთის ნაწილი“.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაცია და თანამშრომლობის ინიცირება-გაღრმავება იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთობლივი მუშაობის სურვილი უკვე გამოთქვა კადისის უნივერსიტეტის პროფესორმა, კონსტიტუციური სამართლის კათედრის ხელმძღვანელმა, ესპანეთის კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის ემერიტუსმა პრეზიდენტმა მიგელ რებენგა სანჩესმა: „სამწუხაროდ, ამ დროისთვის კადისის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მჭიდრო თანამშრომლობა არ არსებობს. მივიჩნევ, რომ ეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შეიძლება გახდეს ძალიან კარგი დასაწყისი არსებული კავშირების გასაღრმავებლად, საწყისი წერტილი კი შეიძლება გახდეს ერასმუსის გაცვლითი პროგრამები. როგორც კადისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ამ ინიციატივას მივესალმები“.

საერთაშორისო კონფერენცია — „კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხები გლობალურ საფრთხეებს“ — 17-18 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა. სამეცნიერო ღონისძიებები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო საagენტოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის მუდმივი განვითარება, ხარისხის კულტურის ამაღლება, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაღრმავება და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი მონიტორინგი, რათა უნივერსიტეტის აკადემიური სივრცე ვითარდებოდეს ევროპული თუ დასავლური სტანდარტების შესაბამისად, ეტაპობრივად განხორციელდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ჰარმონიზაცია ევროპული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან, რათა ისინი აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებისათვის ერთობ მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შიდა მექანიზმები, რაშიც დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავება, საერთაშორისო პროექტები. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ პროექტებში, მათ შორის, აღსანიშნავია უკანასკნელ ხანებში ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო საagენტოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი.

წლების განმავლობაში ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო საagენტოს მხარდაჭერით ხორციელდება არაერთი პროექტი, გამოყოფილია სასწავლო სტიპენდიები ყველა საფეხურის სტუდენტებისთვის, ფინანსდება სხვადასხვა კონფერენციები, სამგზავრო გრანტები, ტრეინინგები ფრანკოფონი სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის, ფრანგული ენის შემსწავლელი კურსები.

ფრანკოფონიის საagენტოს დაფინანსებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაარსდა ბიზნესისა და ახალი ტექნოლოგიების ცენტრი ტრეინინგებისა და სამუშაო შეხვედრებისთვის სრული ტექნიკური აღჭურვილობით. გასულ წელს ფრანკოფონიის საagენტოსთვის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე ორგანიზებული ღონისძიების დაფინანსება და, ამდენად, ხარისხის ევროპული კულტურის ხელშეწყობა და განვითარება საუნივერსიტეტო სივრცეში. მათივე დაფინანსებით, 2018 წლის ივნისში თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორი თანამშრომელი (გიული კალატოზიშვილი, ანა ჟორჟოლიანი) მივლინებით იმყოფებოდნენ უკრაინაში, კიევის ვაჭრობისა და ეკონომიკის ეროვნულ უნივერსიტეტში გამართული კონფერენციის („უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისადმი: ინტერნაციონალიზაცია და ხარისხის კულტურის ამაღლება უნივერსიტეტებში“) მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირმა გრძელიძე მონაწილეობდა ყოველწლიურ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა 2019 წლის 11-12 თებერვალს რუმინეთში, ქალაქ ბუქარესტში. აღნიშნულ ღონისძიებაზე გაზიარებული იქნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიური უნივერსიტეტების გამოცდილება ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროექტი „ხარისხის კულტურის გაძლიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომელიც მომზადდა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო საagენტოს წარმომადგენლის თამარ ღარიბაშვილის შემოთავაზებით და წარმატებით განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო საagენტოსთან (AUF) ერთად. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საagენტოს ბუქარესტის ოფისის (დირექტორი — მუჰამედ კეტატა, პროექტების კოორდინატორი კლაუდია ვიზანი) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. პროექტი მიზნად ისახავდა საერთაშორისო ექსპერტის მოწვევას ხარისხის უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, გამოცდილების გაზიარებას და ორი საერთაშორისო ექსპერტის მოწვევას იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) და, აგრეთვე, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის გარე შეფასებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროგრამები საakრედიტაციოდ უნდა წარადგინოს 2020 წელს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2019 წლის 16 მაისს ჩატარდა ტრეინინგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტრეინინგს უძღვებოდა კრაიოვას (რუმინეთი) უნივერსიტეტის (Universitatea Craiova) პროფესორი, ექსპერტი კრისტიანა ტეოდორესკუ. ტრეინინგზე განიხილეს საკითხები: ურთიერთთანამშრომლობა ფრანკოფონიურ სივრცესთან, დოქტორანტურა და თანახელმძღვანელობა — საერთაშორისო სადოქტორო ქსელები და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შეფასება.

პროექტის ფარგლებში შედიოდა, აგრეთვე, რენის უნივერსიტეტის (University of Rennes) პროფესორ ჟან-ლუი სიქსუს მიერ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის — „სტომატოლოგია“ — გარე შეფასება. ექსპერტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები გაეგზავნა მედიცინის ფაკულტეტს, რომელიც პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა გაიზიარა და გაითვალისწინა საგანმანათლებლო პროგრამის საakრედიტაციოდ წარსადგენად.

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის პროგრამის გარე შეფასების მიზნით, ამავე პროექტის ფარგლებში შეირჩა საერთაშორისო ექსპერტი, სტრასბურგის უნივერსიტეტის (University of Strasbourg) პროფესორი, ყოფილი ვიცე-რექტორი ან-მარი კლებე პელისიე, რომელმაც სამუშაო შეხვედრები გამართა ფაკულტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან 2019 წლის 12-13 ოქტომბერს. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული სამართლის სკოლა ერთ-ერთ მაღალი დონის სკოლაა ევროპაში. სამართლის პროგრამის გარე შეფასების პროცესში ჩართული იყო იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. ვიზიტის დროს ქალბატონი ან-მარი კლებე-პელისიეს მიერ შეფასდა სამართლის სამივე საფეხურის (BA, MA, PhD) საგანმანათლებლო პროგრამები და მომზადდა რეკომენდაციები.

ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო საagენტოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისთვის საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში.

საქართველოში ფრანკოფონიის საagენტოს მხარდაჭერითა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით იგეგმება თანამშრომლობის ახალი ეტაპი, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და საუნივერსიტეტოს სივრცეში მიმდინარე პროცესების კოლეგიალურ შეფასებას; დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის სხვადასხვა ტიპის სერვისების შეთავაზებას მათი საჭიროებისა და მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“ გაიმართა. სამეცნიერო ღონისძიება მეხუთე წელია ტარდება, თუმცა წელს განსაკუთრებული მასშტაბურობით გამოირჩეოდა. კონფერენციის ფარგლებში 10 სექცია მუშაობდა. ახალგაზრდა მეცნიერებისთვის მრგვალი მაგიდა გაიმართა. ქართველმა და უცხოელმა პროფესორებმა ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ლექსიკოლოგია, ფოლკლორისტიკა, ეთნოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ეთიკა, რელიგია, კულტურა და ხელოვნება, ინტერდისციპლინური კვლევები, მედია და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებებით იმსჯელეს. სამეცნიერო კონფერენცია სიმბოლურად მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის მეგობრობას მიეძღვნა. სამეცნიერო დისკუსიაში სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, კონფერენციის ორგანიზატორმა, პროფესორმა ნაირა ბეპიევამ აღნიშნა, „ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის მთავარი მიზანი ქართულ-ოსური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლაა“.

„კონფერენციის არეალი ფართოვდება. წელს მონაწილეობდნენ არა მარტო კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები, არამედ ჩამოსულები იყვნენ პროფესორები გერმანიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იტალიიდან. ისტორიული მოვლენაა ის, რომ კოსტა ხეთაგუროვის ლექსები იტალიურად მაჩერატას უნივერსიტეტის პროფესორმა ვიტორიო სპრინგფილდ ტომელერმა, გერმანულად კი პოეტმა და მთარგმნელმა გერტ რობერტ გრიუნტერმა თარგმნეს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა ძალიან მრავალმხრივი მოხსენებები წარმოადგინეს. სამწუხაროდ, ბურუსი, რომელიც ქართველებსა და ოსებს შორის არსებობს, ჯერ არ გაფანტულა, ამიტომ ჩვენ განათლებისა და მეცნიერების საკითხების მიმართულებით დიალოგის ფორმატი ავირჩიეთ — იმ თემებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომელიც გვაახლოებს. თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით კონფლიქტის საკითხს და ამის თაობაზეც გაიმართა ზომიერი მსჯელობა. ამ საერთაშორისო კონფერენციის სულისჩამდგმელები განმსჭვალულები ვართ იმ მიზნით, რომ ისევ აღვადგინოთ და გავაღრმავოთ მეგობრული ურთიერთობა, რისი საწყისი შორეულ საუკუნეებშია საძიებელი“, — განაცხადა ნაირა ბეპიევამ.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, ასევე, ესწრებოდნენ მაჩერატას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვიტორიო სპრინგფილდ ტომელერი, შერიგებისა და სამოქალაქო საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები.

„ჩვენ გარშემო შემოვიკრიბეთ კავკასიის რესპუბლიკების, ევროპის ქვეყნების, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები. ინტერესი იზრდება, რაც, ვფიქრობთ, ჩვენი წარმატების გარანტია იქნება“, — აღნიშნა ნაირა ბეპიევამ.

თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“ 13-15 ოქტომბერს მიმდინარეობდა. სამეცნიერო დისკუსია ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერანში სახალხო დღესასწაულზე — „კოსტაობაზე“ დასრულდა, სადაც წელს კოსტა ხეთაგუროვის 160 წლის იუბილე აღინიშნა.

„გზავნილმა აფხაზეთიდან“ ახალ პროექტს ჩაუყარა საფუძველი

ნატო ობოლაძე

სასწავლო პროექტი, რომელიც სტუდენტების თეორიულ-პრაქტიკულ საგანმანათლებლო ასპექტებს მოიცავს და საზოგადოების ინტერესებსაც პასუხობს — ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სპეციალობის III კურსის სტუდენტებმა ჟურნალ „გზავნილის“ ახალი ნომრების პრეზენტაცია გამართეს. გზავნილები აფხაზეთიდან, ხაშურიდან და კატერინენფელდიდან (ბოლნისი) მკითხველს რეგიონების აქამდე უცნობ მხარეს აცნობს, აფხაზეთის შესახებ კი არსებულ ინფორმაციულ ვაკუუმს ავსებს.

ჟურნალი „გზავნილი“ 2013 წლიდან პერმანენტულად გამოიცემა სასწავლო კურსის „ბეჭდური მედია პრაქტიკუმის“ ფარგლებში, რომელსაც ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე ხელმძღვანელობს. ჟურნალები ელექტრონულად ვებ-გვერდზე — www.issuu.com — არის ხელმისაწვდომი.

„ჟურნალები მაია ტორაძისა და სტუდენტების ნაყოფიერი შრომის შედეგია. სტუდენტები ეუფლებიან თეორიულ ცოდნას, იძენენ პრაქტიკულ უნარებს, რაც შემდეგ ასეთი გზავნილების სახით გვევლინება. განსაკუთრებით რეზონანსული იყო ჟურნალ „გზავნილის“ პირველი ნომრების პრეზენტაცია. ვფიქრობ, რომ პროექტი წარმატებით ხორციელდება. ამჯერად, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „გზავნილი აფხაზეთიდან“, რადგან დედით სოხუმელი ვარ და გულწრფელად გავიხარე. ეს ნომერი მეტად საჭირო და დროულია მათთვის, ვისაც აფხაზეთი არ უნახავს“, — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ.

მაია ტორაძე

„სასწავლო კურსის ფარგლებში ჟურნალ „გზავნილის“ უკვე 28 ნომერია მომზადებული. მათგან ნაწილი ელექტრონული, ნაწილი კი ბეჭდური სახით გამოვეცით. ეს კარგი პრაქტიკაა სტუდენტებისთვის, რომლებიც რეგიონებში გადიან და იქ ეძებენ პრობლემებს; ადამიანებს, რომლებსაც საინტერესო ცხოვრება აქვთ; აგროვებენ ადგილობრივ ახალ ამბებს; ეცნობიან მუნიციპალიტეტების მუშაობას; სწავლობენ უცხო გარემოში ინფორმაციის სწრაფად მოგროვებას, მთავარის და მეორეხარისხოვნის გარჩევას. წელს განსაკუთრებული წელია, რადგან გამოვეცით „გზავნილი“ აფხაზეთიდან, ასევე კატერინენფელდიდან და ხაშურიდან. კატერინენფელდი გერმანელების აშენებულია, საინტერესო არქიტექტურით გამოირჩევა და დიდი ხანია რესტავრაციას საჭიროებს. რაც შეეხება აფხაზეთს, ჩვენი მიზანი იყო, რომ ახალ თაობას თავისი თანატოლებისათვის კიდევ ერთხელ გაეხსენებინა, რომ აფხაზეთი — ეს საქართველოა და მუდმივად უნდა ვფიქრობდეთ მასზე. ჟურნალის მომზადებისას გავეცანით იქაურ სტუდენტებს, ვესაუბრეთ ადგილობრივ ადამიანებს, რამაც განსაკუთრებით ნათელი გახადა, რომ ნელ-ნელა უფრო დავცილდებით ერთმანეთს, თუ ერთმანეთს არ მოვუსმინეთ“, — განაცხადა მაია ტორაძემ.

„ჟურნალის რუბრიკებში: „ხიდი“, „ხმა აფხაზეთიდან“, „აფხაზეთი აფხაზეთს მიღმა“ და „გვახსოვდეს აფხაზეთი“ გიამბობთ ადამიანებზე, რომლებიც საოკუპაციო ხაზს იქით ცხოვრობენ და რომელთა ყოფა არაა მარტივი; გიამბობთ საოკუპაციო ხაზის ბოლო საგუშაგოსთან არსებულ სიტუაციაზე; გაიგებთ ქართველების ხსოვნაში შემონახული აფხაზების შესახებ; წაიკითხავთ დევნილთა ისტორიებს და მოგონებებს; გაჰყვებით კავშირს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აფხაზეთს შორის“, — წერენ ჟურნალ „გზავნილი აფხაზეთიდან“ რედაქტორის სვეტში სტუდენტები ილია მეგრელიძე და სალომე პაპავა. გარდა წერილობითი გზავნილებისა, მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს ახლანდელ აფხაზეთსაც. სტუდენტებმა ჟურნალში გერმანელი ფოტოხელოვანის ენდი შვიცის ფოტოები გამოიყენეს.

„გვინდოდა, რომ თბილისიდან აფხაზეთამდე არსებული 432 კილომეტრი 5 წუთად გვექცია და გვეთქვა, რომ აფხაზეთი არ არის შორს“, — გვითხრა ილია მეგრელიძემ.

სტუდენტებმა ბოლნისისა და ხაშურის უცნობი მხარეებიც გააცოცხლეს. გაგვაცნეს რეგიონების ტურისტული პოტენციალი და გამორჩეული ადამიანები. „ბოლნისში კვლავ ცოცხლობს გერმანული უბანი. რთული არაა, გერმანულ ქუჩებში სეირნობისას ისიც კი წარმოგიდგეთ თვალწინ, თუ როგორ ესალმებოდა ერთი გერმანელი აივნიდან მეორეს, მეღვინეობისთვის საგანგებოდ აშენებულ სარდაფებში როგორ ამზადებდნენ ღვინოს გერმანული ტექნოლოგიით და როგორ აჰქონდათ მოსახლეებს აღებული მოსავალი ხორბალი და სიმინდი აივანზე გასაშრობად. ბოლნისში დღესაც ცოცხლობს კატერინენფელდი“, — წერენ მარიამ ტალახაძე და ეკატერინე ჯანიაშვილი.

„ბოლნისს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. გოთიკური სტილის არქიტექტურა და თითოეული სახლის უნიკალური ისტორია არის იმის წინაპირობა, რომ რაც შეიძლება ბევრი ტურისტი მოიზიდოს ამ ქალაქმა, რისთვისაც მისი პოპულარიზაცია და რესტავრაციაა აუცილებელი“, — აღნიშნა მარიამ ტალახაძემ.

„გზავნილი ხაშურიდან“ გამორჩეულია ადამიანების ისტორიებით. სტუდენტები მკითხველს უამბობენ ადამიანზე, რომელსაც სძულს დასვენების დღე, ადამიანზე, რომელიც ხელოვნების პარალელურად გატაცებულია სოფლის მეურნეობითა და გამომგონებლობით... ჟურნალში გადმოსცემენ იმ ადამიანების ცხოვრებისა და ყოველდღიურობის შესახებ, რომლებსაც საოკუპაციო ხაზამდე რამდენიმე მეტრი აშორებთ, მაგრამ შიშის, პირობების არარსებობისა და დაუცველობის შეგრძნების მიუხედავად, არ ტოვებენ საცხოვრებელს და ამით იმედს აძლევენ სრულიად საქართველოს.

„ვინაიდან ჩვენ გვწამს თითოეული ადამიანის განსაკუთრებულობის, ჩვენს ჟურნალში მთავარი ადგილი სწორედ მათ უჭირავთ, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც ხდიან ამ მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანს“, — აღნიშნა ჟურნალის რედაქტორმა ნინო წვერავამ.

„ვეცადეთ დაგვემსხვრია ის სტერეოტიპი, რომ ხაშური არ არის ნაზუქებისა და ჰამაკების ქალაქი, იქ ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსი, სადაც სპორტის 12 სახეობის სწავლაა შესაძლებელი. ვიყავით საოკუპაციო ხაზთანაც და ჟურნალში ავსახეთ, თუ რა პირობებში უწევთ ცხოვრება ჩორჩანელებს“, — განაცხადა ჟურნალ „გზავნილი ხაშურიდან“ მთავარმა რედაქტორმა კახა ყიფიანმა.

ჟურნალ „გზავნილის“ 3 ახალი ნომრის პრეზენტაცია 15 ოქტომბერს გაიმართა. ღონისძიებას მედიასაშუალებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და მათი რესპონდენტებიც ესწრებოდნენ.

„მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალები გამოდის ბეჭდური და ელექტრონული სახით. პროექტი ძალიან ღირებულია, რადგან სტუდენტები გადიან რეგიონებში, მცირე დროში ამზადებენ მასალებს, ეცნობიან საქართველოს კუთხეებს, იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას, რისთვისაც უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა სტუდენტებს და მათ დაუღალავ პედაგოგს მაია ტორაძეს. დასაფასებელია ადმინისტრაციის თანადგომა. ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი თამარ დოლბაია ხელს გვიწყობს, რომ ჟურნალები ბეჭდური სახითაც გავრცელდეს“, — განაცხადა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელმა ნინო ჭალაგანიძემ.

„მე კატერინენფელდიდან გზავნილის რეცენზენტი ვიყავი და მინდა გითხრათ, სტატიებიც რომ არ წაიკითხოთ, უნიკალური ფოტოებით ეს ჟურნალი უამრავ ახალსა და საინტერესოს გეუბნებათ. სიმბოლურია ჟურნალის სახელწოდებაც. ძირითად ნაწილში ჩანს ცოტა სევდაც, იგრძნობა კრიტიკაც, წარმოჩენილია პრობლემები... ჩემთვის ეს პროექტი განსაკუთრებით ღირებულია, რადგან აქ ისმის ხმა რეგიონებიდან“, — განაცხადა ჟურნალ „გზავნილი კატერინენფელდიდან“ რეცენზენტმა, თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა ნათია კუპრაშვილმა.

ჟურნალ „გზავნილის“ პრეზენტაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს გაზეთის „ჩემი აფხაზეთი“ რედაქტორი ნატო კორსანტიაც ესწრებოდა, რომელმაც პროექტ „გზავნილის“ ხელმძღვანელსა და სტუდენტებს ერთობლივი პროდუქტის შექმნა შესთავაზა. შედეგად სტუდენტები „ჩემი აფხაზეთის“ ერთ ნომერს მოამზადებენ. პრეზენტაცია საჯარო ბიბლიოთეკაშია დაგეგმილი. მუშაობა უკვე დაწყებულია.

„გზავნილმა აფხაზეთიდან“ ახალ პროექტს ჩაუყარა საფუძველი. გაზეთ „ჩემი აფხაზეთის“ მომდევნო ნომრებზე მუშაობას თბილისის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები გააგრძელებენ“, — განაცხადა პროექტ „გზავნილის“ ხელმძღვანელმა მაია ტორაძემ.

მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის 100 წლიანი გზა

მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრა ქართული უნივერსიტეტის დაარსების პირველსავე წლებში, 1919 წელს, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის თაოსნობით, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გაიხსნა. იგი იყო ერთადერთი გეოლოგიური პროფილის კათედრა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში. ახლად დაარსებულ კათედრას თავად პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე ჩაუდგა სათავეში და მას გარდაცვალებამდე — 38 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

კათედრის დაარსება სირთულეებთან იყო მაშინ დაკავშირებული. იმ დროისათვის სასწავლო პროცესს მხოლოდ ერთი მიკროსკოპი და ქანების ერთადერთი კოლექცია ემსახურებოდა; იყო ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების დეფიციტი. სადემონსტრაციო მასალის დეფიციტის შევსებას კათედრა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილი ექსკურსიებისას მოპოვებული მინერალებისა და ქანების კოლექციის ხარჯზე ახდენდა. მაღალკვალიფიციური გეოლოგიური კადრების მომზადების მიზნით კათედრა რამდენიმე მიმართულებით მუშაობდა: მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებელთა კადრების მოზიდვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნის მიმართულებით.

კათედრის თავდაპირველი შემადგენლობა ასეთი იყო: პროფესორი ალ. თვალჭრელიძე; დოცენტი ი. ყიფშიძე, ასისტენტი ა. ფლორენსკი, ლექტორი გ. სმირნოვი და პრეპარატორი შ. ნადარეიშვილი. მაშინ კათედრის ეს მცირე ჯგუფი საბუნებისმეტყველო, პოლიტექნიკურ, აგრონომიულ და საექიმო ფაკულტეტებს ემსახურებოდა; იკითხებოდა კათედრის მაპროფილებელი დისციპლინები: კრისტალოგრაფია, მინერალოგია და პეტროგრაფია.

1926-1930 წლებში კიდევ უფრო გაიზარდა კათედრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1926 წელს ჭიათურის მარგანეცის „ჩემოს“ საზოგადოების მიერ უნივერსიტეტისათვის გადმოცემული თანხებიდან კათედრამ უცხოური ფირმის მიკროსკოპები, მინერალებისა და ქანების კოლექციები შეიძინა.

კათედრის მთავარი საზრუნავი მაინც მშობლიურ ენაზე ახალი სახელმძღვანელოების შედგენისა და არსებული სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის საკითხი იყო. 1920 წელს ქართულ ენაზე პირველად ალ. თვალჭრელიძის გეომეტრიული კრისტალოგრაფიის სახელმძღვანელო დაიბეჭდა.

კათედრის საქმიანობა მარტო სასწავლო პროცესით არ იფარგლებოდა. კადრების მომზადების პროცესის პარალელურად, საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც თავდაპირველად, ძირითადად, გამოყენებითი მინერალოგიის მიმართულებით მიმდინარეობდა. ალ. თვალჭრელიძისა და მისი თანამებრძოლების სამეცნიერო ინტერესთა სფეროში მოექცა საქართველოს ბუნებრივი რესურსების კომპლექსურად შესწავლის აუცილებლობის საკითხი.

ალ. თვალჭრელიძის თაოსნობით მოწყობილი გეოლოგიური ექსპედიციის შედეგად აღმოჩენილ იქნა გრაფიტის, დარიშხანის, მოლიბდენიტის, არსენოპირიტის, თეძამის ვულკანური ტუფის, სახურავი ფიქლების, ბოლნისის ტუფის, აქატის, ქალცედონის, ტალკის, ბარიტის, დანალექი და მაგმური წარმოშობის სხვადასხვა სახის მოსაპირკეთებელი და სანახელაო ქვების, მსუბუქი ბეტონის შემავსებელი მასალის, მჟავეგამძლე ანდეზიტების საბადოები და სხვ.

დაარსების ადრეული წლებიდან კათედრის სამეცნიერო-კვლევის ძირითადი პრობლემა მაინც ადსორბენტი თიხების შესწავლა იყო, რასაც თეორიულ მხარესთან ერთად დიდი პრაქტიკული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ტიპის თიხებს იყენებდნენ როგორც გამწმენდ საშუალებას ნავთობისა



ალექსანდრე თვალჭრელიძე

და საფეიქრო მრეწველობაში. იმ ხანად ეს მინერალური ნედლეული იმპორტის საგანს წარმოადგენდა და ამერიკის კონტინენტის ფლორიდინის შტატიდან შემოჰქონდათ, რაც რიგ სიძველეებთან იყო დაკავშირებული. ალ. თვალჭრელიძის მიერ მსგავსი თიხები მიკვლეული იქნა წალტუბოს რაიონის სოფ გუბრინში. აღმოჩენილი თიხების ტექნიკურ ვარგისიანობაზე გამოცდის მიზნით, კათედრაზე 1926 წელს ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი ფლორიდინის ლაბორატორიის სახელწოდებით. ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურა გუბრინის თიხების, როგორც ადსორბენტის, ყოველმხრივ ვარგისიანობა-უპირატესობაც კი ამერიკულ თიხასთან შედარებით. 1929 წელს ხსენებული ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა და განვითარდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება — კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი. კათედრისა და ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთობლივმა მუშაობამ თიხების კვლევის საქმეში უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა და თუ დღეს მსოფლიოს პეტროგრაფიული საზოგადოება საქართველოს თიხებს გუმბრინისა და ასკანის სახელწოდებით იცნობენ, მასში განუზომლად დიდია კათედრისა და მისი დამფუძნებლის ალ. თვალჭრელიძის ღვაწლი.

1933-1934 სასწავლო წლიდან მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტში გაერთიანდა. 1935 წელს ეს უკანასკნელი დანაწილდა და მას ცალკე გამოეყო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, რომელშიაც მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრა 2003 წლამდე შედიოდა.

1937 წელს შემოიღეს მინერალოგიის სწავლება ქიმიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტებზე. ამ პერიოდში ეწყობოდა სასწავლო პრაქტიკები: მე-2 კურსზე მინერალოგიაში, მე-3 კურსზე პეტროგრაფიაში, ხოლო 4 და მე-5 კურსის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკებს გადიოდნენ სხვადასხვა გეოლოგიურ ექსპედიციებსა და დაწესებულებებში.

ამავე დროს, საფუძველი ჩაეყარა პალეოვულკანოლოგიურ კვლევებს, რომლის ფუძემდებელი საქართველოში აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე იყო.

მის მიერ 1948 წელს გამოქვეყნებულმა ფუნდამენტურმა გამოკვლევამ — „საქართველოს მიოცენამდელი ეფუზიური ვულკანიზმი“ 1950 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

1919-1957 წლებში კათედრის თანამშრომელთა ინტენსიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის დასტურია ამ პერიოდში დაცული მრავალი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია, რამდენიმე მონოგრაფია, რამდენიმე ათეული სამეცნიერო სტატია. გამოიცა სახელმძღვანელოები: „მაგმური ქანების პეტროგრაფია“ (თვალჭრელიძე, 1950 წ.); „კრისტალთა ოპტიკის შესავალი“ (თვალჭრელიძე, 1954 წ.).

კათედრის თანამშრომელთა სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღინიშნა არა ერთი სამთავრობო ჯილდოებით.

1957 წელს კათედრამ და სამეცნიერო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე. ამავე წელს კათედრის გამგის თანამდებობაზე პროფესორი გიორგი ძოწენიძე დაინიშნა, რომლის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით (1959 წელს) კათედრის გამგის მოვალეობის შესრულება დაევალა დოც. ნ. სხირტლაძეს. ეს თანამდებობა მან კონკურსის წესით 1960 წელს დაიკავა.

ამ პერიოდში კათედრას, მაღალკვალიფიციურ გეოლოგიურ კადრების მომზადებასთან ერთად, მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული საქართველოს მაგმური, დაბალექი და მეტამორფული ფორმაციების შესწავლის მიმართულებით, რაც ასახულია მონოგრაფიულ გამოკვლევებში, მრავალრიცხოვან გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებსა და სამეცნიერო ანგარიშებში. უნდა აღინიშნოს აკად. ნ. სხირტლაძის მიერ დიდი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობის მქონე, ადსორბენტი თვისებების მატარებელი მაღალკაჟმიწიანი ბუნებრივი ცეოლითების აღმოჩენის შესახებ. ამ აღმოჩენამ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ცეოლითური ნედლეულის გეოლოგიურ-მინერალოგიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური კომპლექსური ხასიათის ფართომასშტაბიანი კვლევების დაწყებას.

ამ პერიოდში დაცულია ერთი საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია (თუთბერიძე); გამოქვეყნებულია 3 სახელმძღვანელო: „გეოქიმიის მოკლე კურსი“ (ივანიცკი, ქოიავა, 1972 წ.), „პეტროგრაფია-მინერალოგიის საფუძვლებით“ (სხირტლაძე, 1984 წ.), „ლითოლოგია“ (ქოიავა 1988 წ.).

1997 წელს პირადი განცხადების საფუძველზე, კათედრის გამგის თანამდებობა დატოვა აკადემიკოსმა ნიკოლოზ სხირტლაძემ. იმავე წელს, კათედრის გადაწყვეტილებით, ეს თანამდებობა, კონკურსის წესით, პროფესორმა ბეჟან თუთბერიძემ დაიკავა. ამ დროისთვის კათედრის ძირითადი აკადემიური პერსონალი იყო: აკადემიკოსი ნიკოლოზ სხირტლაძე, პროფესორები: ვ. ქოიავა, ო. ნადარეიშვილი და ბ. თუთბერიძე; დოცენტი რ. მაყაშვილი, უფროსი მასწავლებელი ა. დოლაქიძე, ასისტენტი მ. კანდელაკი.

1998 წელს მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრა გარდაიქმნა მინერალოგია-პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრად.

2003 წელს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებად დაიყო. 2003 წლიდან 2005 წლამდე კათედრა გეოლოგიის ფაკულტეტში შედიოდა, ხოლო 2005 წლიდან დღემდე ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის შემადგენლობაშია.

კათედრას მაღალკვალიფიციური გეოლოგიური კადრების მომზადებისათვის გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროცესს ემსახურება: მინერალოგიისა და პეტროქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები, მაგმური, დანალექი და მეტამორფული ქანების მდიდარი კოლექციები, პოლარიზაციული მიკროსკოპული ბაზა, კეთილმოწყობილი აუდიტორიები.

კათედრის ყოველდღიური ზრუნვის საგანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო გრანტის ფარგლებში შეძენილია უახლესი მოდელის პოლარიზაციული მიკროსკოპი. წლის ბოლომდე ფაკულტეტის დეკანის პროფ. რ. ხომერიკის თანადგომით, თითქმის მთლიანად მოხდება მიკროსკოპული ბაზის განახლება თანამედროვე პოლარიზაციული მიკროსკოპებით.

სასწავლო-სამეცნიერო პროცესს ემსახურება პეტროქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია. აქ ტარდება აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო გეოლოგიურ ექსპედიციებში მოპოვებული ქანებისა და მინერალების სრული სილიკატური ქიმიური ანალიზები. ანალოგიური ხასიათის სამუშაოები უტარდება, ასევე, სამივე საფეხურის სტუდენტების მიერ პრაქტიკის პერიოდში მოპოვებულ მასალას. შედეგებს ისინი სამეცნიერო კონფერენციაზე გასატანი მოხსენებებისა და სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შედგენისას იყენებენ. ლაბორატორიაში სტუდენტები ეცნობიან ლაბორატორიული კვლევისა და ანალიზების ჩატარების მეთოდიკას.

კათედრის სიამაყეა მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია. 2008 წელს პირველ კორპუსში სარემონტო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით მინერალოგიის სასწავლო მუზეუმში განთავსებული კოლექციები ყუთებში ჩაიყარა და გადაიტანეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სარდაფში. მხოლოდ კათედრის დიდი ძალისხმევითა და მონდომებით წლების განმავლობაში ყუთებში ჩაყრილი უნიკალური კოლექციების ბაზაზე შეიქმნა მინერალოგიის სასწავლო ლაბორატორია, რომელიც კათედრის მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს. ლაბორატორიაში დაცული დაახლოებით 7000-ზე მეტი მინერალთა კოლექცია განთავსებულია სისტემური პრინციპით მინერალოგიის კურსში არსებული სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად. ლაბორატორიაში ტარდება პრაქტიკულ-სემინარული სამუშაოები მინერალოგიაში.

მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ხშირი სტუმრებია ჩვენი და საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალისტები, მინერალებით დაინტერესებული ადგილობრივი თუ უცხოელი პერსონები, კერძო და საჯარო სკოლის ქართული და უცხოენოვანი საშუალო სკოლის მოწაფეები. განსაკუთრებული სტუმრიანობა აღინიშნებოდა 1991-2004 წლებში. მინერალოგიის სასწავლო მუზეუმის სტუმრები იყვნენ: საქართველოსა და საზღვარგარეთის ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების დელეგაციები, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, უმაღლესი და საშუალო სკოლის მოსწავლეები და სხვ. ამ დროისთვის რექტორი გახლდათ ცნობილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ როინს იმ დიდი ყურადღებისა და თანადგომისათვის, რომელსაც ის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის მიმართ იჩენდა.

კათედრაზე წარმატებით ტარდება საველე-გეოლოგიური სასწავლო და პროფესიული პრაქტიკები.

კათედრა დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვას. აღსანიშნავია სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა ყოველწლიურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. ასევე ფართოა მათი მონაწილეობის მასშტაბები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამართულ ყოველწლიურ საფაკულტეტო კონფერენციის მუშაობაში. განსაკუთრე-

ბ. 12

მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის 100 წლიანი გზა

მე-11 გვ-დან

ბულ აღნიშვნას იმსახურებს კათედრის მიმართულების ზოგიერთი დოქტორანტის (მირიან მაქაძე, დავით მაქაძე, ჯავახიშვილი, კობახიძე, გვენცაძე) აქტიური მონაწილეობა არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

კათედრა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა დასაქმების საკითხებს. მაგისტრები და დოქტორანტები ყველა დასაქმებულია გეოლოგიისა და კავკასიის მინერალურ ინსტიტუტებში, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტში, ქალაქის მერიასა და კერძო კომპანიებში.

კათედრის აკადემიური პერსონალის საქმიანობა მარტო სასწავლო პროცესით არ შემოიფარგლება. აქ ტრადიციულად ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს, რომლის მეცნიერული ინტერესის სფეროს საქართველოს მაგმური და მეტამორფული წარმონაქმნების კომპლექსური შესწავლა წარმოადგენს. ამ მიზნით დეპარტამენტის თანამშრომლები ყოველწლიურად ატარებენ საველე-გეოლოგიურ ექსპედიციებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში თემატიკის შესაბამისად. ექსპედიციებში ტრადიციად იქცა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების მონაწილეობა.

კათედრაზე სამეცნიერო კვლევები რამდენიმე მიმართულებით ტარდება, კერძოდ: ხმელთაშუაზღვიურ ალპური ნაოჭა სარტყლის — კავკასიის სეგმენტის ნეოგენურ-ანთროპოგენური ვულკანიზმის განვითარების კანონზომიერების, მათი პროდუქტების ნივთიერი შედგენილობისა და გამოვლინების გეოდინამიური პირობების შესწავლა-მაგმური პეტროლოგიის გადაფასებისა და ლითოსფერული ფილების ტექტონიკის კონცეფციის ფარგლებში (თუთბერიძე); საქართველოს ნეოგენურ-ანთროპოგენურ ვულკანიზმთან დაკავშირებული პოსტვულკანური პროცესების შესწავლა და ვულკანური პროდუქტების პრაქტიკული გამოყენება (თუთბერიძე, ახალკაციშვილი); ვულკანიზმისა და გამყინვარების განვითარების დროის ასაკობრივი კორელაციის დადგენა (ახალკაციშვილი); ალაზანგაღმა კახეთის, თუშეთისა და ნაწილობრივ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიის ქვედა და შუა იურული ფიქლების სერიასთან დაკავშირებულ ვულკანიზმისა და მასთან დაკავშირებული გამადნების შესწავლა (აქიმიძე).

მიმდინარეობს არსებული პალეომაგნიტური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ხელახალი ინტერპრეტაცია უახლესი აპარატურისა და შეცვლილი გაზომვის მეთოდიკის გამოყენებით. კათედრაზე განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგები ასახულია მონოგრაფიაში (თუთბერიძე 2004 წ.), ადგილობრივ და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. კათედრის თანამშრომლები მონაწილეობენ მრავალ ადგილობრივი და საერთაშორისო სიმპოზიუმების, სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების და ვორქშოფების მუშაობაში.

კათედრა აქტიურად არის ჩაბმული საგრანტო პროექტების მოპოვებასა და მათ განხორციელებაში. კათედრამ გაიმარჯვა განათლების სამინისტროს მიერ დასაფინანსებლად გამოცხადებულ სამაგისტრო პროექტის კონკურსში (ხელმძღვანელი თუთბერიძე, აქიმიძე); მონაწილეობდნენ ნატოს მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტში (თუთბერიძე) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელებულ ინტერდისციპლინურ საგრანტო პროექტში ფიზიკოსებთან ერთად (თუთბერიძე, ახალკაციშვილი) და ა.შ. სასიხარულოა იმის გაგებაც, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებულია 5 დოქტორანტი.

2014 წლიდან კათედრა აქტიურად არის ჩართული ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის კონსერვაციის გეგმის სტრატეგიისა და ქვათაცვენის შეჩერების გადაუდებელი ქმედებების შემმუშავებელ კომისიაში (თუთბერიძე). საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარდა ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ამგები ქანების პეტროლოგიური შესწავლა (თუთბერიძე).

კათედრა დახმარებას უწევს სტუდენტებს უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსში წარსადგენი სამეცნიერო თემატიკის შერჩევაში.

კათედრა აქტიურად არის ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის გეოგრაფია-გეოლოგიის სექციისა და თსუ საბავშვო უნივერსიტეტის მუშაობაში (თუთბერიძე, ახალკაციშვილი).

კათედრა რეგულარულად აწყობს მინერალებისა და სამშენებლო ქვების გამოფენას მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში (ახალკაციშვილი). მინერალებისა და სამშენებლო ქვების მასშტაბური ხასიათის გამოფენა მოეწყო 2014 წლის 26 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II -ის ლოცვა კურთხევითა და უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მხარდაჭერით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური ცენტრის დარბაზში. ექსპოზიციის გახსნას თვით უწმინდესი და უნეტარესი და რექტორი დაესწრო.

ტრადიციულად, კათედრის ზრუნვის საგანია სასწავლო პროცესის ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. უკანასკნელ პერიოდში კათედრის მაპროფილებელ დისციპლინებში შეიქმნა ორგინალური სახელმძღვანელოები: „მინერალოგია“ (თუთბერიძე, 2010 წ.) და „მაგმური ქანების პეტროლოგია კრისტალოოპტიკის საფუძვლებით“ (თუთბერიძე, 2017 წ.).

კათედრის საიუბილეო დღეს, თავს მოვალედ ვთვლი, კიდევ ერთხელ უღრმესი მადლიერებით პატივი მივაგო კათედრის დამაარსებლის, აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძისა და კათედრაზე მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთა ნათელ ხსოვნას. კათედრაზე ტრადიციად იქცა გარდაცვლილი ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლების ხსოვნისადმი პატივის მიგება და მათი ღვაწლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების გამართვა.

ბექან თუთბერიძე,
მინერალოგია-პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის

გახსენება

იგი მსოფლიოს 5 ათას გამოჩენილ პიროვნებას შორისაა დასახელებული

დავით უკლება - 100



დავით უკლება მიეკუთვნება იმ შესანიშნავი ქართველი გეოგრაფების თაობას, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების განვითარების საქმეში.

გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიის ორგზის ლაურეატი დავით უკლება დაიბადა 1919 წლის 27 დეკემბერს ეწერში (მაშინდელი ჩხარის რაიონი, დღევანდელი თერჯოლის მუნიციპალიტეტი). ქუთაისის 3-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დავით უკლებამ სწავლა თბილისის სამშენებლო ტექნიკუმში გააგრძელა, რომელიც 1935 წელს დაამთავრა. 1935-1937 წლამდე მუშაობდა საშუალო სკოლის მასწავლებლად ჩხარის რაიონის სოფელ სიმონეთ-ეწერში. 1937 წელს ჩაირიცხა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც 1941 წლამდე სწავლობდა. მომადლებული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა ახალგაზრდამ იმთავითვე მიიპყრო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. უნივერსიტეტის დამთავრება ომის დაწყებას დაემთხვა. დავით უკლება — რიგითი კურსანტი, შემდეგ ბატალიონის კომისარი, ჩრდილო კავკასიის ფრონტზე იბრძოდა, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. ომგადახდილი კვლავ მშობლიურ უნივერსიტეტს დაუბრუნდა. 1947 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1945-47 წლებში იქვე მუშაობდა ლაბორანტად ქვეყანათმცოდნეობის კათედრაზე.

დავით უკლება 1947 წელს ჩაირიცხა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტად. წარჩინებით დაამთავრა ასპირანტურა პროფესორ ბორის დობრინინის ხელმძღვანელობით და 1951 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ზემო სვანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება“.

1950 წელს ასპირანტურის კურსის გავლის შემდეგ გამოჩენილმა ანთროპოლოგმა და გეოგრაფმა, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დამაარსებელმა და მრავალი წლის მანძილზე მისმა უცვლელმა დირექტორმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა დავით უკლება ინსტიტუტში სამუშაოდ მიიწვია. აქ მან განვლო გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან განყოფილების გამგემდე. იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანიც (1953 წ.).

დავით უკლებას დახასიათებისას აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „დავით უკლებამ თავი გამოიჩინა როგორც კვალიფიციურმა მეცნიერ მუშაკმა, იგი მაღალხარისხიანად ასრულებს თავის სამეცნიერო თემატიკას. მეცნიერულ მუშაობაში იჩენს ინიციატივას და შემოქმედებით უნარს. იგი მზარდი ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელია, რომელიც სისტემატურად მუშაობს თავის თავზე მეცნიერული ცოდნის ამაღლებისათვის. ინსტიტუტის თანამშრომლებს შორის სარგებლობს ავტორიტეტით“.

* * *

დავით უკლებას სამეცნიერო მოღვაწეობა ფართო სპექტრით გეოგრაფიის ინსტიტუტში წარიმართა, რომლის ერთგულიც დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. მისი, როგორც ფართო დიაპაზონის მეცნიერ-გეოგრაფის, სამეცნიერო მოღვაწეობა მიმართული იყო ლანდშაფტმცოდნეობის მნიშვნელოვანი პრობლემების შესწავლისა და საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და მთლიანად კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონებისადმი, ბუნებრივი პირობებისა და რესურსების რაციონალურად გამოყენების მეცნიერული დასაბუთებისა და ბუნების დაცვის პრობლემებისადმი. ამ საკითხებს მიუძღვნა მან 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა დიდი ნაწილი დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, პოლონურ და ჩეხურ ენებზე.

1952 წელს თანაავტორობით დამუშავდა საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. დავით უკლებას მიერ შესრულებულია ცალკეული რეგიონების (შიდა და გარე კახეთის, ქვემო ქართლის, თუშეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს და აფხაზეთის) ბუნებრივი პირობებისა და რესურსების დახასიათება, ფიზიკურ-გეოგრა-

გვ. 13

გახსენება

იგი მსოფლიოს 5 ათას გამოჩენილ პიროვნებას შორისაა დასახელებული

მე-12 გვ-დან

დავით უკლება - 100

ფიული აღწერილობანი. ეს გამოკვლევები თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს საზღვრებს და მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს მთიანი მხარეების შესასწავლად.

გეოგრაფიის ინსტიტუტში თავდაპირველად არ არსებობდა ლანდშაფტმცოდნეობითი ხასიათის სტრუქტურული ერთეული, თუმცა ტარდებოდა ამ პროფილის გამოკვლევები, პირველად იგი საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათების შედგენით დაიწყო (VII კლასის სახელმძღვანელოსათვის). 50-იანი წლებიდან საქართველოს რეგიონების ბუნებრივი პირობების კვლევის დროს ცალკე პრობლემად დაისახა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების შესწავლა; 1964 წელს დავით უკლებას თანაავტორობით „საქართველოს ატლასში“ (1964 წ.) გამოქვეყნდა „საქართველოს ლანდშაფტური რუკა“ და „საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების რუკა“ ქართულ და რუსულ ენებზე. ეს შრომები საქართველოს ტერიტორიის ლანდშაფტურ-ტიპოლოგიური და რეგიონული ერთეულების დადგენისა და კარტირების პირველი მნიშვნელოვანი ცდა იყო.

ინსტიტუტის კომპლექსურ ფიზიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევები თემატურად მრავალფეროვანი და უფრო მიზანსწრაფული გახდა, როცა შეიქმნა ლანდშაფტმცოდნეობის ჯგუფი 1962 წელს და შემდეგ მის ბაზაზე ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორია 1970 წელს. ორივე შემთხვევაში ხელმძღვანელი დავით უკლება იყო. ამ პერიოდში ლანდშაფტების კვლევას მიეძღვნა ლაბორატორიის თანამშრომელთა მრავალი სამეცნიერო შრომა. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა მთიანი მხარეების ლანდშაფტების კვლევის მეთოდების შემუშავება და საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება.

დავით უკლებას ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი ფუძემდებლური მონოგრაფიული გამოკვლევა „აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის“ (1968 წ.), რომელიც მნიშვნელოვანი გამოკვლევაა მეცნიერული და სამეურნეო თვალსაზრისით და, ასევე, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები“ (1974 წ.). მასში მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ოლქების დაყოფა რეგიონულ ბუნებრივ კომპლექსებად და გამოყოფილი ერთეულების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება; ფიზიკურ-გეოგრაფიული დიფერენციაციის საფუძვლად მიღებულია ავტორის მიერ შედგენილი მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტურ-ტიპოლოგიური რუკა; მთიან მხარეებში დადგინდა სხვადასხვა რანგის ლანდშაფტები. მოცემულია მათი კლასიფიკაცია, კომპლექსური გეოგრაფიული დახასიათება და ბუნებრივი პირობების შეფასება სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის.

მნიშვნელოვანი იყო, რომ 1970 წელს პირველად გამოიცა საშუალო მასშტაბიანი ფერადი „საქართველოს ლანდშაფტური რუკა“ (მელიტონ სანებლიძე, დავით უკლება, ქრისტეფორე ჯაყელი). მას ფართოდ იყენებდნენ როგორც უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტები, ასევე სხვადასხვა საგეგმო თუ სამეცნიერო ორგანიზაციები.

1970 წელს დავით უკლებამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის“.

1983 წელს შეიქმნა მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომა — „ამიერკავკასიის ლანდშაფტური რუკა“, რომელიც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გეოგრაფთა მუშაობის შედეგად (დავით უკლება, ბუდაგ ბუდაგოვი, მუსეიბ მუსეიბოვი, ელენე სოხაძე, ალექსანდრე ბაღდასარიანი) შესრულდა. მისი დამუშავება და პრაქტიკული განხორციელება წარიმართა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორიაში დავით უკლებას ხელმძღვანელობით.

ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება დავით უკლებას ხელმძღვანელობით არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბუნებრივი (აღდგენილი) ლანდშაფტების შესწავლით, არამედ მიზანდასახულად და მეთოდურად იკვლევდა ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების შედეგად შექმნილ ლანდშაფტებს. ამ მიმართულებით შეიქმნა დავით უკლებას მონოგრაფია — „საქართველოს ანთროპოგენური ლანდშაფტები“. ეს მონოგრაფია ჩვენი ქვეყნის ანთროპოგენური ლანდშაფტებისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომია, რომელმაც მრავალი წამყვანი სპეციალისტის მაღალი შეფასება დაიმსახურა. მნიშვნელოვან მეცნიერულ შენაძენს წარმოადგენს აგრეთვე კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნაწილის ლანდშაფტებისა და კავკასიის სიმაღლებრივი ლანდშაფტური ზონების სტრუქტურის კანონზომიერებებისადმი მიძღვნილი შრომები, რომლებიც ამომწურავად აშუქებენ დასმულ საკითხებს.

დავით უკლება განსაკუთრებული ყურადღებით და სიფრთხილით ეკიდებოდა ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგიის საკითხებს. 1967 წელს დაიბეჭდა მის მიერ შედგენილი გეოგრაფიის ტერმინოლოგია, რომელიც წლების განმავლობაში სამაგიდო წიგნად იქცა სპეციალისტებისათვის. საჭირო და აუცილებელი იყო ზოგადგეოგრაფიულ ტერმინთა ქართულენოვანი ენციკლოპედიური ლექსიკონის შედგენა. დავით უკლებამ შეკრიბა ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აქტიურად მუშაობდა თავის მოსწავლეებთან და კოლეგებთან.

დავით უკლებას გარდაცვალების შემდეგ, 2014 წელს გამოიცა ზოგადგეოგრაფიულ ტერმინთა ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც 5000-ზე მეტი ტერმინის განმარტებას მოიცავს, დაერთვის საცნობარო-სტატისტიკური დამატება (ცხრილები — ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ობიექტებზე, გეოგრაფიულ აღმოჩენებზე, მსოფლიოს მოსახლეობაზე და სხვ.).

დავით უკლებამ დიდი ამაგი დასდო სასკოლო გეოგრაფიული სწავლების საქმეს. ის ერთ-ერთი ავტორია 1992 წელს გამოცემული საქართველოს სასწავლო გეოგრაფიული ატლასისა, რომელიც სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. დ. უკლება იყო გეოგრაფიული საზოგადოების შრომათა კრებულების რედაქტორი. მის ხელში გაიარა ათობით სტატიამ, რომელიც იბეჭდებოდა შრომათა კრებულებში.

დავით უკლებას ინიციატივით და მცდელობით პირველად შეიქმნა ქართულენოვანი სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალი — „გეოგრაფია“, რომელიც დახმარებას უწევდა სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს. ის იყო მისი მთავარი რედაქტორი. 1998 წელს გამოვიდა ჟურნალ „გეოგრაფიის“ მხოლოდ ორი ნომერი. მან დიდი ძალა და ენერგია შეალია ამ ნომრების გამოსვლას. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ წამოწყებას მისი გარდაცვალების შემდეგ გაგრძელება არ ჰქონია.

სამეცნიერო ნაშრომების გარდა, საინტერესოა დავით უკლებას მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შრომები, რომელთაგან აღსანიშნავია: „ალაზნის ველი“, (1966 წ.) და „ჩვენი სამშობლოს ცისფერ გზებზე“ (1964 წ.), ასევე, „საბჭოთა კავშირის ქალაქების შეცვლილ სახელწოდებათა საძიებელი“ (თანაავტორი), რომელიც დაბეჭდილია თსუ-ის შრომებში. ეს შრომა წარმოადგენს საინტერესო და სასარგებლო ცნობარს არა მარტო გეოგრაფიის, არამედ მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის.

დავით უკლებამ დიდი ღვაწლი დასდო ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომების კვლევას. მან ჯერ კიდევ 1958 წელს ვახუშტი ბაგრატიონის შრომების მიხედვით მოახდინა ქვემო ქართლის ლანდშაფტური რაიონების გამოყოფა. 1966 წელს დაიბეჭდა ვახუშტის მიერ საქართველოს ლანდშაფტური ზონების დახასიათების მიხედვით შემუშავებული ლანდშაფტური თავისებურებანიც.

დავით უკლება პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, ლექციების კურსს შეთავსებით კითხულობდა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1957-1959 წწ.) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1974-1980 წწ.).

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს დავით უკლებას მოღვაწეობა ქართულ ენციკლოპედიაში, სადაც ის 1970-1989 წლებში შეთავსებით მუშაობდა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციაში უფროს სამეცნიერო რედაქტორად, გარდა ამისა, მან ენციკლოპედიის სპეცტომისთვის („საქართველოს სსრ“) დაწერა „საქართველოს ლანდშაფტები“ და „საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები“. მის მიერაა დაწერილი საქართველოს ბუნება — ქედების, მწვერვალების, უღელტეხილების, მყინვარების და სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მნიშვნელოვანია დავით უკლებას როლი სამეცნიერო კადრების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 11 მაძიებელმა.

დავით უკლება იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მთიანი ოლქების ბუნების სისტემატურ-გეოგრაფიული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დისერტაციების დაცვის სპეციალური საბჭოს წევრი; აგრეთვე, სადოქტორო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი (აზერბაიჯანი). იგი იყო 25 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი.

დავით უკლება 60 წელი აქტიურად თანამშრომლობდა გეოგრაფიულ საზოგადოებასთან. წლების განმავლობაში იყო საზოგადოების პრეზიდიუმისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი; ყოფილი საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრი; ყოფილი საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების 5 ყრილობის დელეგატი.

1984 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გეოგრაფიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის დავით უკლებას მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ წოდება.

დავით უკლებას ორჯერ მიეკუთვნა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია — პირველად 1987 წელს მონოგრაფიებისთვის: „საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის“ (1968 წ.) და „საქართველოს ანთროპოგენური ლანდშაფტები“ (1983 წ.), ხოლო მეორედ — 1993 წელს კოლექტიური მონოგრაფიისათვის — „თბილისი“ (1989 წ.).

„საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასის“ შექმნაში აქტიური მონაწილეობისათვის დავით უკლებას 1994 წელს მიეკუთვნა სახელმწიფო პრემია.

1997 წლის 17 დეკემბერს პრეზიდენტის ბრძანებულებით, დ. უკლება ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

დავით უკლება შეყვანილია ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ 1998 წელს გამოცემულ ცნობარში „მსოფლიოს 5 ათასი გამოჩენილი პიროვნება“, რომელშიც მოცემულია ცნობები დავით უკლებას მოღვაწეობის შესახებ.

2000 წლის 15 მაისს ქალაქ თბილისის 2-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის კაბინეტს მიენიჭა პროფესორ დავით უკლებას სახელი. ამ საქმის ინიციატორი ამავე სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ბატონ დავით უკლებას აღზრდილი, რაფიელ დანიბეგაშვილის პრემიის ლაურეატი, გეოგრაფიის დოქტორი ნუგზარ არჩვაძეა.

დავით უკლებამ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში საფუძველი ჩაუყარა ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორიას, რომელიც ერთ-ერთი ავტორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ანალოგიურ დაწესებულებებს შორის. ის იკვლევდა მთიანი მხარეების ბუნებრივი პირობების და რესურსების რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემებს. მან პირველმა დაადგინა აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები. გამოავლინა ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონების და ლანდშაფტების ბუნებრივი რესურსები და დასახა მათი რაციონალური ბუნებათსარგებლობის ღონისძიებანი. დავით უკლება სრულიად დამსახურებულად ითვლება ლანდშაფტმცოდნეობის საკითხებზე დარგის აღიარებულ სპეციალისტად საქართველოში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა, რომლებშიც მოცემულია საქართველოს ცალკეული რეგიონების, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკის ბუნებრივი პირობების სამეურნეო შეფასებისა და გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტივები.

დავით უკლება გარდაიცვალა 1999 წლის 26 ივლისს, დაკრძალულია მუხათგვერდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დღეს, სამწუხაროდ, ბატონი დავითი ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ მისი ნამოღვაწარი და ადამიანური სითბო მრავალჯერ შეგვახსენებს ამ შესანიშნავ მეცნიერს, პიროვნებას და პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება

გახსენება

ლეგენდები არ ჯვდებიან

ნაბო ობოლაძე

„ პანონის უზენაესობის პრინციპზე მეტად, საზოგადოების ყველა წევრისთვის, სამართლის უზენაესობა უნდა იყოს მნიშვნელოვანი“ — ხაზგასმით აღნიშნა აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ რამდენიმე წლის წინ ჟურნალისტებთან საუბრისას. 70 წელზე მეტ ხანს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი თაობის სამართალმცოდნეების აღზრდისას და პრაქტიკულ სფეროში საქმიანობის დროსაც, ლევან ალექსიძის მოღვაწეობის მთავარი არსი სწორედ სამართლის უზენაესობა იყო.

საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის დამაარსებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლევან ალექსიძე 1926 წლის 5 ივლისს თბილისში დაიბადა. 1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1964-1969 წლებიდან თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი, დოცენტი და პროფესორი გახლდათ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად 2001 წელს აირჩიეს. 1985-1993 წლებში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრორექტორი, 2010-2015 წლებში კი რექტორის მოადგილე იყო.

ლევან ალექსიძე ლექციებს საერთაშორისო სამართლის აქტუალურ პრობლემებზე ცნობილ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში 1970 წლიდან კითხულობდა, მათ შორის: ემორის და ბოსტონის უნივერსიტეტებში (აშშ), ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში (გერმანია), საერთაშორისო სამართლის ჰააგის აკადემიაში, ასევე, კიევის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ადამიანის უფლებათა აკადემიაში (საბერძნეთი), ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვ. გამოქვეყნებული აქვს 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი — მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები, დაბეჭდილი სხვადასხვა ქვეყნის გამომცემლობების მიერ ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად და რუსულად, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების შესწავლას. ამ ნაშრომებმა აღიარება ჰპოვეს საერთაშორისო სამართლის მსოფლიო დოქტრინაში. ისინი აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აგრესიულ-სეპარატისტთა თვითგამორკვევის უფლების უსაფუძვლობის დასაბუთებას ეძღვნება. ლევან ალექსიძის თაოსნობით ქართულ ენაზე საერთაშორისო სამართლის სფეროში პირველი სახელმძღვანელო გამოიცა. იგი გახლდათ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ლექსიკონ-ცნობარების თანაავტორი და რედაქტორი. 2012 წელს გამოიცა 1957-2012 წლებში გამოქვეყნებული მისი რჩეული ნაშრომების კრებული — „საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკური ხანიდან დღემდე — ისტორია, კონცეფცია, პოლემიკა)“.

ლევან ალექსიძე აკადემიური საქმიანობის პარალელურად აქტიურად იყო ჩართული საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკურ პროცესებშიც: გახლდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის პასუხისმგებელი მუშაკი უფროსი ოფიცერი (1970-1977 წწ.), უმცირესობათა დისკრიმინაციის პრევენციისა და დაცვის ქვეკომისიის მდივანი (1970-1975 წწ.), საკონსულტაციო მომსახურებისა და საგანგებო დავალებათა განყოფილების უფროსი (1975-1977 წწ.), გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი და ორგანიზატორი სექციის მიერ ორგანიზებულ სახელმწიფოთაშორის სემინარებზე; იყო საქართველოს პარლამენტის წევრი (1990-1991 წწ.), საქართველოს პრეზიდენტების მთავარი მრჩეველი საერთაშორისო სამართლის საკითხებში (1993-2004 წწ.). მონაწილეობდა ჟენევის მოლაპარაკებებში აფხაზეთის პრობლემებზე (1993-2004 წწ.); იყო საქართველოს წარმომადგენელი გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სესიებზე (1994-1999 წწ.); გახლდათ ადამიანის უფლებათა ვენის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე (1993 წ.), ადამიანის უფლებათა კომიტეტის სესიაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი (1997 წ.), საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის კონფერენციაზე სამართლის ექსპერტი (1998 წ.), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონალურ მექანიზმებზე საერთაშორისო რეგიონალური ტრეინინგების კურსის თავმჯდომარე და ექსპერტი (2001 წ.), ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის ევროპული კომისიის (ეკრი) წევრი (1999-2012 წწ.), საქართველოს საკონსტიტუციო კომისიაში საქართველოს კონსტიტუციის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების კომიტეტის თავმჯდომარე (2009-2010 წწ.).

ლევან ალექსიძე სხვადასხვა დროს მრავალი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახლდათ. მიღებული აქვს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი, პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენი და საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში

აკადემიკოსი ლევან ალექსიძე 93 წლის ასაკში გარდაიცვალა.

* * *

ადამიანს, რომელმაც საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლა შექმნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები იხსენებენ.

თამარ ზარანდია, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი: „აკადემიკოს ლევან ალექსიძის წასვლით კიდევ ერთი ეპოქა დასრულდა უნივერსიტეტში. იურიდიული ფაკულტეტისთვის კი ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დანაკარგი, როგორც აკადემიური, ისე პიროვნული. ბატონი ლევანი იყო იმის შესანიშნავი მაგალითი, რომ თუ საკუთარი საქმე და უნივერსიტეტი გიყვარს, ასაკი ვერაფერს დაგაკლებს. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ემსახურებოდა უნივერსიტეტს, სტუდენტებს და იმ საქმეს, რომელიც მართლაც ძალიან უყვარდა.

ბევრი თბილი მოგონება მაკავშირებს ბატონ ლევანთან. იგი ნამდვილად ახერხებდა ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მის გარშემო იყო, განსაკუთრებული პატივისცემა, სითბო და სიყვარული ეგრძნობინებინა. თავისი მასშტაბის მიუხედავად, სტუდენტებთანაც კი თანასწორი და მოკრძალებული იყო. ზრუნავდა თითოეულ პროფესორზე, ვინც მის მიმართულებაზე ასწავლიდა. მათი სატკივარი ავტომატურად მისი საზრუნავი ხდებოდა. ჩემი შეფასებით, იშვიათად დიდი ადამიანი იყო და ბევრს იტევდა, ადამიანურ მანკიერებებზე მაღლა დგომა შეეძლო, რაც ბევრი ადამიანისაგან განასხვავებდა.

უამრავი ადამიანი შემხვედრია, ვინც აღიარებდა და აფასებდა აკადემიკოს ლევან ალექსიძეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღ-

გაგ. 15

დაჯილდოება

ზურაბ ჭუმბურიძეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია მიენიჭა

ქართველოლოგიის დარგში შესრულებული მნიშვნელოვანი ნაშრომისთვის „ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიით დაჯილდოვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე.

„დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ ყველას, რომ ასე დაფასდა ჩემი შრომა. წიგნი ახლახან გამოვიდა. ეს პრემია ჩემთვის დიდი პატივია“, — განაცხადა ზურაბ ჭუმბურიძემ. პრემია ზურაბ ჭუმბურიძეს თსუ-ში იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე გადაეცა, რომელსაც თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, სტუდენტები, პროფესორები, ქართული სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„გოგებაშვილის პრემია ენიჭებათ მეცნიერებს ქართული ენის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. წელს ეს პრემია მრავალწლიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ენიჭება მეცნიერს ზურაბ ჭუმბურიძეს წიგნისთვის, რომელიც შეეხება ქართულ ენასთან დაკავშირებულ საკითხებს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

გოგებაშვილის სახელობის საპატიო პრემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლიდან დაწესდა.

ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიას უნივერსიტეტი 2 წელიწადში ერთხელ გადასცემს საპრემიო წლის ოქტომბრის ბოლოს (27 ოქტომბერს იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეა). პრემია ენიჭება საქართველოს მოქალაქეს ქართველოლოგიურ სამეცნიერო დარგში შესრულებული მნიშვნელოვანი ნაშრომისათვის. გოგებაშვილის პრემია უკვე მესამედ გაიცა.

* * *

წელს იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაემატა სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებმა, რომლებმაც წარმოადგინეს თემატური მოხსენებები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებამოღვაწეობის, მისი მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეებიც. ასევე, კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ღონისძიება „ვკითხულობთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“. კონფერენციის დასასრულს ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ხელს უწყობს ქართველოლოგიური დარგების განვითარებას.

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲯᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ

მე-14 გვ-დან

ვარგარეთ. ეს არაერთხელ მიგრძნია განსაკუთრებით უცხოეთში ვიზიტების დროს. სახელმწიფოებრივი ადამიანი იყო, არაერთხელ გვისაუბრია მის გამოცდილებაზე ნიუ-იორკსა და ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუშაობის წლებზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიპეტიებზე, აფხაზეთის პრობლემის სამართლებრივ მხარეებზე. ნიშანდობლივია, რომ სიცოცხლის ბოლომდე იყო ძალიან აქტიური და თავს ვალდებულად თვლიდა — გამოხმაურებოდა ნებისმიერ სიახლეს, განსაკუთრებით რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის თემას საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში.

2017 წლის საშობაო ღონისძიებაზე იურიდიულმა ფაკულტეტმა ბატონი ლევანი დააჯილდოვა ნომინაციით — „იურიდიული ფაკულტეტის ლეგენდა“. მართლაც ლეგენდარული იყო, ლეგენდები კი არ კვდებიან. ამ მნიშვნელობით ყველაზე დიდი მემკვიდრეობა, რომელიც დარჩა პროფესორ ლევან ალექსიძეს, არის ის აკადემიური გუნდი, მისი სკოლა, რომელიც ფაკულტეტზე მის საქმეს აგრძელებს — პროფესორები, რომლებიც საქართველოში საერთაშორისო სამართლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. ეს კი იმის საწინდარია, რომ აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელი და საქმე იცოცხლებს მანამ, ვიდრე უნივერსიტეტი არსებობს“.

ირინე ქურდაძე, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი: „არიან ადამიანები, ვისი წასვლაც უზომოდ დიდ სიცარიელეს აჩენს, რისი შევსებაც ვერავის და ვერაფერს შეუძლია. ბატონი ლევან ალექსიძე სწორედ ასეთ ადამიანთა კოჰორტას განეკუთვნება. მერგო პატივი, გავმხდარიყავი ბატონი ლევანის მიერ დაფუძნებული ფაკულტეტის პირველი გამოშვების სტუდენტი და მქონოდა მისი ხელმძღვანელობით სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის ფუფუნება. საოცარია, ამ რანგისა და საზოგადოებრივი წონის ადამიანი როგორ ევლებოდა თავს ახალგაზრდებს. არ მახსენდება მისგან უხეშად ან შებრუნებულად ნათქვამი სიტყვა; არ მახსენდება, რომ რომელიმე ინიციატივისათვის მხარი არ დაეჭირა... არასოდეს იზარებდა ახალგაზრდებთან საუბარს რაიმე თემაზე, პოლიტიკურიდან დაწყებული ყოფითით დამთავრებული. ან რა გასაკვირია, ეს ხომ იმ თვითკმარ, ღირსეულ ადამიანთა თვისებაა, ვინც თავის თავში ღრმად დარწმუნებულია. საუბარია იმ ადამიანებზე, ვინც თავისი შრომითა და ძალისხმევით მოიპოვა საზოგადო ავტორიტეტი, იმ ადამიანებზე, ვისაც თავისი ცოდნისა და გამოცდილების ჭეშმარიტად გავრცელება/გადაცემა სურს. ბატონი ლევანი კი სწორედ ასეთი იყო. იგი არ ასწავლიდა მხოლოდ საერთაშორისო სამართალს. მისი უზადო ერუდირებულობა და უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილება ფარავდა მრავალ ზოგადსაკაცობრიო თუ საქართველოსათვის საჭირბოროტო საკითხს. იმავდროულად, მას ახასიათებდა სამყაროსადმი სიკეთითა და ღირიკით აღსავსე ხედვა. ქართულ საზოგადოებაში, ქართულ სამეცნიერო წრეებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონმა ლევან ალექსიძემ უდაოდ ეპოქალური კვალი დატოვა“.

ქეთევან ხუციშვილი (საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი) და ირინა აღა-

პიშვილი (ასისტენტი): „2019 წლის 6-13 ივლისს ბატონი ლევანის დიდი დახმარებით გრონინგენის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლას ვუმასპინძლე თსუ-ში. აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, რომლის 93 წლის იუბილეც ვიზეიმეთ 5 ივლისს, მისთვის ჩვეული ახალგაზრდული შემართებით, ფეხზე მდგომი, 2 საათის განმავლობაში უძღვებოდა პირველ საზეიმო ლექციას თემაზე — „ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის თანაფარდობა“. 10-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსულ მონაწილეთა აღფრთოვანება, სამწუხაროდ, აგვისტოში მათი სამძიმრის წერილით გაგრძელდა: „პატივი გვერგო, შევხვედროდით, გვესწავლა და აღვფრთოვანებულიყავით მისგან. აკადემიკოს ლევან ალექსიძის ნათელმა გონებამ, სითბომ და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე საერთაშორისო სამართალში მოღვაწეობამ დაუვიწყარი მოგონებები დაგვიტოვა“. ჩვენი ბატონი ლევანი, ძალიან დიდი და უზომოდ თავმდაბალი ადამიანი, თანატოლი იყო ხუთი წლის ბარბარესთანაც და აშშ-ის პრეზიდენტ ჯიმი კარტერთანაც. ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების გახსენებისას მისივე ნათქვამი არ მავიწყდება: „ჩემო ქეთი, მრცხვენია, ადამიანს მივახვედრო, რომ ვხვდები, რომ ის მე მატყუებს“. მის მონატრებას ვერაფერი ამოავსებს, მას ნამდვილად ვერავინ შეცვლის. არ მეგონა, ჩემთვის ამდენად მტკივნეულად თუ მომიწევდა დიდი ვაჟას სიტყვების გასიგრძეგანება: „ათას ცოცხალსა ბევრჯერა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია“. ფიზიკურად ჩვენგან განშორების მიუხედავად, ჩვენი ბატონი ლევანის სიკეთე და ღვაწლი მას მუდამ ჩვენთან ამყოფებს“.

დავით გეფერიძე, სამართლის დოქტორი: „უდიდესი მადლიერებისა და ღრმა პატივისცემის გრძნობით შემიძლია გავიხსენო მისი ხელმძღვანელობით თექვსმეტი წლის მანძილზე დაგროვილი საინტერესო მეცნიერული თუ ცხოვრებისეული ეპიზოდები. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ შესაძლებელი იყოს ვინმეს მიერ, სადღეისოდ, ლევან ალექსიძის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ორი თვის შემდეგ, მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ობიექტური და სრულფასოვანი შეფასება. ამგვარ მისიას, ჩემი ღრმა რწმენით, შეასრულებს მხოლოდ მომავალი თაობა და, ისიც, დაახლოებით, 50-100 წლის შემდგომ... ბატონი ლევანი იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისა და საქართველოს კონსტიტუციის 1995 წლის ვერსიის თანაავტორი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მას ჰქონდა ორიგინალური იუმორის გრძნობა და ანეგდოტების მახსოვრობის გამორჩეული უნარი. ის ლამაზი მოგონებები, რომლებიც ამ შესანიშნავ პიროვნებასთან მაკავშირებს, შეუძლებელია მოთავსდეს მცირე დროის ფორმატში. მისი ხელმძღვანელობით მრავალი მეცნიერი აღიზარდა. დარწმუნებული ვარ, რომ ის უზარმაზარი შრომა, რაც მან გასწია ათეულობით წლის განმავლობაში, ძალიან დიდი ხანი იქნება თითოეული ჩვენგანის სამომავლო გზამკვლევი. ამჟამად ჩვენზეა, მის აღზრდილებზეა დამოკიდებული მისი იდეების ხორცშესხმა და წარმატებით განხორციელება!“

ნინო რუხაძე, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი: „ბატონი ლევანი... უკანასკნელი მოჰიკანი... რთული, წინააღმდეგობრივი, მრავალმხრივ განათლებული, ყოველთვის თანამედროვე. ყველაფერს ამჩნევდა... მკაცრი და ძუნწი შეფასებისას... და მაინც, დიდი იმედი, დამცველი, „ზურგი“. დღესაც თითქოს აქ არის... ძალიან გაფასებთ და გვაკლიხართ, ბატონო ლევან!“

ნინო ლაპიაშვილი, ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი: „2010 წელს დამირეკა, შეხვედრა უნდოდა, როგორც კურატორ რექტორის მოადგილეს. მახსოვს, გაეროსა და ევროკავშირის გადაკვეთის ასპექტებზე წამოვიწყეთ საუბარი, მერე მოხდენილად გადაიტანა აქცენტები გაეროში მისი მოღვაწეობის წლებზე ნიუ იორკსა და ჟენევაში... ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ახსენა, პაქტები... როგორ ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ახალ დარგს და დააარსა საერთაშორისო სამართლის კათედრა. მოკლედ, გაგვიგრძელდა საუბარი. სადღაც საუბრის შუაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესები შეაჯამა. ვისაუბრეთ რუსეთთან კონფლიქტზეც, გაიხსენა დეტალები, თუ როგორ ეხმარებოდა ქართულ დიპლომატიას მისი ჩართულობით შემუშავებული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოთაშორისი დოკუმენტების მეშვეობით, მომიყვა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შედგენის პერიპეტიები, დეტალურად გაიხსენა 1991 წლის აპრილის დღეებში განვითარებული პროცესები და ჩარჩოში ჩასმულ განუყრელ ტექსტზე თითით მომიხაზა ის აბზაცები, ფრაზები და სიტყვები, მას რომ ეკუთვნოდა პირადად. ისიც თქვა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდვამდე თუ როგორ მოაბრუნა იგი პრეზიდენტმა გამსახურდიამ — უკვე თვითმფრინავის ტრაპზე ასული — საქართველოს უახლესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე ხელმოსაწერად... გამიზიარა, როგორ ხედავდა თანამედროვე მსოფლიო ლიდერებს, პროგნოზიც თქვა, თუ რა იქნებოდა მომავალში, რა მოხდებოდა.... ზუსტად მახსოვს, ბოლოსკენ ისევ საერთაშორისო სამართლისა და ევროკავშირის სამართლის ურთიერთმიმართებაზე ვმსჯელობდით. ამას ჰქვია — შევყევით. იმ შეხვედრიდან მოყოლებული ჩვენი სოკრატული დიალოგები აღარასოდეს დასრულებულა, ვიდრე 2019 წლის ივლისის ბოლო დღეს, ჩვეულებისამებრ, ჩემზე ოდნავ ადრე მოსული ვეღარსად ვიპოვე ჩემსავე დაგეგმილ ღონისძიებაზე....

მის მთავარ თვისებებად — თანამედროვეობას, შინაგან თავისუფლებას და უსაზღვრო სიკეთეს დავასახელებდი.

ცალსახად, 93 წლის ასაკშიც კი ჩვენ შორის ყველაზე თანამედროვედ მოაზროვნე, სულისკვეთებით თინეიჯერი და მსოფლმხედველობით გლობალურად მოაზროვნე იყო“.

ნინო ფარსადანიშვილი, სამართლის დოქტორი: „2017 წლის დეკემბერში ავღანეთში ჩემი გამგზავრების წინ ბატონ ლევანს შევხვდი. განსაკუთრებული რჩევები მომცა და გამამხნევა. 25 დეკემბერს დავურეკე, ჩამოვედი, ყველაფერმა კარგად ჩაიარა-მეთქი. შევხვდით, ყველაფერი დეტალურად მომაყოლა. ტაბეშის უნივერსიტეტში მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის გახსნის ღონისძიების თითოეული ფოტო საუცხოო ყურადღებით დაათვალიერა. სიამაყით აღივსო, რომ ავღანეთში ცოდნის გავრცელებაში ჩვენი წვლილი შეგვქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიხარულით სავსე თვალებით შემომხედა და მითხრა: — ნინო, მეორეჯერ წასვლაზე არც კი იფიქრო, გაგიმართლა, რომ უვნებლად დაბრუნდიო. დავპირდი, რომ აღარ წავიდოდი. მას შემდეგ სულ ბატონი ლევანის სიტყვები მახსენდება.

ასეთი იყო ბატონი ლევანი, არა მხოლოდ ნამდვილი პროფესორი, რომელსაც განსაკუთრებულად ახარებდა მისი თითოეული სტუდენტის წარმატება, არამედ უდიდესი პიროვნება, რომელიც გარდაცვალების შემდეგაც ახერხებს ჩვენს დაცვას“.

ეკა სირაძე, ასოცირებული პროფესორი: „როცა მეგონა, რომ უკვე ვერაფრით გამაკვირვებდა, ჭეშმარიტი კეთილშობილებისა და სიკეთის მორიგ მასტერკლასს სწორედ მაშინ ჩაატარებდა, თან უნებლიედ, ყოველგვარი სიყალბისა და პათოსის გარეშე.

ბატონი ლევანი ნამდვილად უნიკალური ადამიანი იყო, რომელმაც 93 წლის ასაკშიც მოახერხა შეენარჩუნებინა სიხალასე და უპირობო კაცთმოყვარეობა. მის ცნობილ იუმორსა და სხარტ გონებაზე აღარ ვსაუბრობ.

უკანასკნელად, ბოლო კვირას, კაჭრეთში ვიყავით ერთად, სადაც ერთსაათიანი ისეთი საინტერესო ლექცია წაუკითხა სტუდენტებს, რომ ერთი წუთითაც ვერ მოვწყვიტე ყური. ალბათ, ესეც ლოგიკური იყო.

ძალიან მომენატრებით ბატონო ლევან, თქვენი რჩევებით და ჩუმი მზრუნველობით! არანაირ ვალდებულებებს რომ არ აკისრებდა ადამიანებს..“.

ქეთევან თათარაშვილი (1985 წლიდან ბ-ნი ლ. ალექსიძის მდივანი): „ბატონ ლევანთან ვმუშაობდი 1985 წლიდან. ეს იყო შთაბეჭდილებებით სავსე პერიოდი. ბატონი ლევანი ერთნაირად ყურადღებიანი იყო როგორც თანამშრომლებთან, ისე სტუდენტებთან. იგი მუდამ ცოცხალი იქნება ჩვენს გულებსა და მოგონებებში“.

მაკა კევლიშვილი, ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი (2005 წლიდან ბ-ნი ლ. ალექსიძის თანაშემწე): „ჩემი ცხოვრების დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება ბატონ ლევანს და მასთან ერთად გატარებულ პერიოდს. პირველი, რა გრძნობაც მეუფლება, ეს არის უსაზღვრო სიამაყისა და მადლიერების განცდა, რომ პატივი მქონდა ამ ხნის განმავლობაში ვყოფილიყავი მის გვერდით. იგი იყო შეუდარებელი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი — ყველას იმედი და ყველას ქომაგი.

მადლობა, რომ ასე გაგვანებივრეთ თქვენით“.

თსუ-ის რექტორმა საკალათბურთო გუნდის წევრები დააჯილდოვა

დუდუ დადიანის მემორიალური თასის 2019 წლის მფლობელის თსუ-ის საკალათბურთო გუნდის წარმომადგენელთა დაჯილდოება გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, კალათბურთელები, მწვრთნელები, გუნდის ექიმები, თსუ-ის კალათბურთის გუნდის ფანკლუბის წევრები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, თსუ დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთ-ერთი წამყვანი გუნდი ქართულ კალათბურში და ძალიან კარგია, რომ შევძელით დაბრუნება სუპერლიგაში. „დუდუ დადიანის თასი კარგი ჯილდო და მოტივატორია, რათა უკეთესი შედეგები დავდოთ. ზოგადად, მიმაჩნია, რომ საუნივერსიტეტო კალათბურთი და სპორტი არის ქვაკუთხედი დიდი სპორტის განვითარების. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტი სტუდენტი იყოს ჩაბმული სპორტში, რადგან იგი ჯანსაღი ცხოვრების წესია. მივესალმებით ნებისმიერ გამარჯვებას, რომელიც მოტივაციას გაუჩენს სხვას, რომ გახდეს უფრო სპორტული“, — აღნიშნა რექტორმა.

კალათბურთელებს მადლობის სიგელები თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ხარჯავანიძემ გადასცა.

თსუ-ის საკალათბურთო გუნდის მომავალ გეგმებზე ისაუბრა კალათბურთელმა გიორგი კორსანტიამ: „ჩვენი გუნდი ახალი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. გვყავს ახალი სამწვრთნელო შტაბი. ჩვენი მიზანია შევთამაშდეთ, ერთმანეთს უკეთ გავუგოთ; შემდეგ, რაც შეიძლება ოპტიმალურ ფორმაში შევიდეთ და მოვახერხოთ, რომ რეგულარულ სეზონში მაღალი ადგილი დავიკავოთ და ფლეი ოფში მაქსიმალურ შედეგს მივაღწიოთ; პირველ რიგში, ოთხეულში გავიდეთ და მაქსიმუმი იქნება ჩემპიონობა“.

ღონისძიებაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თსუ-ის საკალათბურთო გუნდების მწვრთნელი ნუგზარ მარკოიშვილი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა. „მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს, რომ უნივერსიტეტის კალათბურთი იყოს შესაბამის სიმაღლეზე“, — განაცხადა ნუგზარ მარკოიშვილმა.

„ვულოცავ უნივერსიტეტს ამ დიდ წარმატებას და ვისურვებდი, რომ არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არამედ სხვა უნივერსიტეტებიც ჩაებნენ იმ ფერხულში, რასაც ქართული კალათბურთის სამსახური ჰქვია. ვფიქრობ, შორს არ არის ის დრო, როცა სუპერლიგაში მხოლოდ და მხოლოდ თსუ არ იქნება წარმოდგენილი“, — აღნიშნა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა.

დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირის ფინალში თსუ-ის კალათბურთელებმა ბათუმის გუნდი ანგარიშით 87:69 დაამარცხეს. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად თსუ-ის ცენტრფორვარდი გიორგი კორსანტია დასახელდა.

TRI MEDIA INTELLIGENCE

რამდენი მაყურებელი ჰყავს „უნივერსიას“?

კვლევის ახალი შედეგები

კომპანია „ტრი მედია ინტელიჯენსის“ მიერ 2019 წლის დასაწყისიდან 20 სექტემბრამდე ჩატარებული კვლევის თანახმად, თსუ გაზეთის რედაქციის მიერ მომზადებულ გადაცემათა ციკლს „უნივერსიას“ 15 რეგიონული არხი აჩვენებს, რაც ადასტურებს პროგრამაზე მოთხოვნას. ეს არხებია: TV25, მეცხრე ტალღა, გურია TV, ოდიში, ეგრისი TV, კოლხეთი 89, არგო, იმერვიზია, რიონი, რიონი 2, დია TV, გურჯაანი TV, AGTV, მარნეული TV, FTV გეო. ამ 15 არხიდან მხოლოდ 6 ტელევიზიის მონიტორინგი და დათვლა ხორციელდება. კვლევის თანახმად, 2019 წლის 20 სექტემბრამდე პროგრამის ჭრების რაოდენობამ თვლად 6 ტელევიზიაში შეადგინა 490 ჭრა. ამ ტელევიზიებში თვის განმავლობაში გადაცემის ყურებადობა, მხოლოდ შეწონილი მონაცემით მთელს საქართველოზე (არ ითვლება სოფლები და მიზნობრივი ზონები), შეადგენს, საშუალოდ, 30 000 ადამიანს. 2019 წლის 20 სექტემბრამდე პროგრამის ამგვარმა წვდომამ შეადგინა 340 000 ადამიანი.

„უნივერსიას“ რეიტინგი შედარებულია „დოიჩე ველეს“ წარმოებით მომზადებულ ყოველკვირეული სამეცნიერო გადაცემის — „ვიდრე ხვალ“ (Tomorrow Today) — რეიტინგთან, რომელიც ასევე გადაიცემა იმავე სატელევიზიო არხების მიერ. შედარება ასე გამოიყურება:



უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
მზია წერეთელი,
ნინო ჩახუნაშვილი,
გიორგი ჯაიანი,
ომარ მუკბანიანი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

GARB

2017 წლის 1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).